

ფარსმან

მეფე ივერიისა

თარგმანი.



პარიზი 1929.

ქალთა დე კრებოიწი.



ფარსმან

მეფე ივერიისა

თარგმანი.



ბათუმი 1929.

«ფარსმან მეფე ივერიისა»

(«რადამისტ და ზენობე»)

იყო დრო, როცა საქართველო ებრძოდა რომის იმპერი-
ალიზმს.

ჩვენ მაღლობელი უნდა ვიყოთ საფრანგეთის პოეტის ეო-
ლიო დე-კრებიონისა: მან მიაყენა შუქი თავის გენიალობის
საქართველოს ისტორიის ამ სახელოვან ხანას, გაარღვია ბუ-
რუსი, დაგვანახა მაშინდელი სახე ქართველი ერის და გვაგრ-
ძნობინა ის გმირული სული, რომელიც ჰბერდა და აცხოვე-
ლებდა მაშინ მის მშვენიერ მთა და ბარს.

ეს ხანა იყო პირველ საუკუნეში, როცა საქართველოს
ტახტზე იჯდა მეფე ფარსმან პირველი (35-70 წ. ქრ. დამ.).

რა იყო მაშინ საქართველო?

ტერიტორიალურად საქართველო თითქმის იგივე იყო,
რაც ესლა არის. მხოლოდ დედა-ქალაქი იყო არტანისი (არ-
ტანი). მაშინდელ საქართველოს, ზურგ-გამაგრებულს შავი
ზღვით და კავკასიონის ქედით, დიდი საშიშროება არ მოელო-
და არც დასავლეთით, არც ჩრდილოეთით,—მაშინ რუსეთი
არ არსებობდა და იქ მობინადრე ველური ზაღზი არ იყო სა-
შიშარი. სიფათი მოსალოდნელი იყო უფრო სამხრეთით: აქე-
დან აწვებოდა საქართველოს დიადი ძალა რომის იმპერიისა.
არტანისს, როგორც სიმაგრეს, ეჭირა შუა-გული ამ ვრცელი
ფრონტისა და ერთნაირად შეეძლო დაცვა ორივე ფლანგის—
აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსი. აი ამ დედა-ქალაქ-
ში იყო გამაგრებული ფარსმან პირველი და გაფაციცებით
თვალ-ყურს ადევნებდა რომის იმპერიალიზმის განვითარებას
აზიაში.

ფარსმან კარგად ჰხედავდა, რომ სომხეთის ტახტს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ ცდილობდა ან სულ დაეპყრო სომხეთი და შემოერთებინა იგი საქართველოსათვის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჰყოლოდა მანდ მეფედ თავისი ახლო ნათესავი. ამიტომ ჯერ სომხეთის ტახტზე იჯდა ფარსმანის ძმა, მიტრიდატი, შემდეგ ფარსმანის შვილი რადამისტი. პირველი მოკლული იქმნა, მეორე—განდევნილი სომხეთიდან. მე არ ვიცი ისტორია და ვერ ვიტყვი, თუ რამდენად ერია ფარსმანის ხელი მისი ძმის მკვლელობაში, მაგრამ ერთი რამ ეჭვის გარეშეა: თვით ფარსმან იმდენად გატაცებული იყო სამშობლოს სიყვარულით, მისი დამოუკიდებლობის გამაგრების ფიქრით და ნებისყოფით, რომ ის არ ჰზოგავდა არავის, არც ძმას, არც შვილს, და უღმობელად ახრჩობდა ყველას, ვინც კი მომხრე იყო რომის და პლატობდა საქართველოს (სახეში მაქვს პიესაში აღებული ხანა). ამიტომ საფიქრებელია, რომ მან ჯერ მოაკვლევინა თავისი ძმა, მიტრიდატი, ზერე განდევნა სომხეთიდან თავისი შვილიც, რადამისტი, რადგან იმასაც ედებოდა ბრალი რომთან დაახლოებისა. ამ მაგალითებიდან ფარსმან დარწმუნდა, რომ პოლიტიკურად ძალიან სანდო არავინ არის, არც ძმა, არც შვილი, და გადასწყვიტა თვითონ დაეჭირა სომხეთის ტახტი. ამ განზრახვით აამუშავა თავისი მალული ძალა თვით სომხეთში მომხრეების მოსაპოვებლად (ეხლანდელი ენით რომ ვსთქვათ: გასწია პროპაგანდა თვით სომხეთში) და დაიწყო საქართველოში სამხედრო მომარაგება. ეს რასაკვირველია არ გამოეპარა რომის პროკონსულს მცირე აზიაში, კორბულონს, რომელიც უგზავნის ფარსმანს საგანგებო ელჩს რომის მოთხოვნილების წარსადგენად. ეს ელჩი არის სომხეთიდან განდევნილი რადამისტი, შვილი ფარსმანისა. ის დიდი ხანია არავის უნახავს, ყველას მკედარი ჰგონია. რადამისტი წარუდგება მეფეს სადარბაზო წვეულებაში როგორც რომაელი, და განუცხადებს:

სომხეთი, იცით, რომისა თითქმის რომ ქვეშევრდომია, როცა საკითხი ტახტის ჰდგა, გარდამწყვეტელი რომია. მიუხედავად ამისა, კავკასიის მთებით მავალი ფაზისსა უახლოვდება თქვენი მხედრობა მრავალი,

ჯარსა მოუცავს უამრავს მტკვრისა ველი და ბაღები,
 კორდებზე დროშა ჰფრიალებს, სამხედრო ბაირალები...

ამიტომა მე გიცხადებ—ამას ითხოვს კეისარი:

არაქსისა ხეობისკენ არ წასწიოთ თქვენი ჯარი.

ასეთია რომის მოთხოვნილება. ფარსმანის გადაწყვეტი-
 ლება კი სულ სხვაა: სომხეთი ან უნდა იყოს თავისუფალი
 ბუფერი საქართველოს და რომის იმპერიის შუა, ან ბრძოლა
 ეხლავე უნდა იქმნას გადატანილი სომხეთის გადაღმა, თვით
 რომის სამფლობელოში. აი რა პასუხს აძლევს მრისხანე მეფე
 რომის ელჩს:

ფ ა რ ს მ ა ნ .

მე დამიპყრია ქვეყნები, ვძლიე მე უძლეველები,
 ბევრჯერ დაევხვდი გმირულად, ვიფრინე რომაელები,
 მიმიღეწია პართი და მასთან ბევრი სხვა მტერები;
 თქვენი ქებული რომისთვის დღემდეც ვერ-მონაგერები.
 ამ ერს მედიდურს ეტლითა, ვით საწეიმოდ სჩვევია,
 ჩემი სურათი სამასხროდ ჯერე ვერ გაუთრევია;
 ჩემი ხმალი კი იმასა ბევრჯერ სირცხვილად ეფეთა,
 ბევრჯერ დამირტყამს და ჯავრიც ამომიყრია მეფეთა...

ცეცხლით უნდა ჯერ აიკლოთ ივერია კიდი-კიდე,
 თუ თქვენ გინდათ ჩემი ჯარით მე სომხეთში არ შევიდე.
 რომაელებს არ შეშვენის ტრაბახი და უქმი ენა,
 როცა მე ხმლით გზას ვიკაფავ, მიმავალსა იჩითვენა,
 უფრო შორსაც... იქნება, მე სომხეთიცა გადავლახო
 და ეფფრატის ნაპირებზე კორბულონსა შევევჯახო.

ამნაირად პოლიტიკური აზრი ფარსმანისა უკვე ჰცდება
 საქართველოს საზღვრებს; იგი პლებულობს მსოფლიო წასი-
 ათს, როცა მეფე-გმირი აცხადებს:

რა მშვიდობა? რისი წავი?!

დევ—თუნდაც სამარცხვინოდ დაილუპოს შენი თავი—
 წადი, ფარსმან, შეეხეთქე, შეარყიე თვით რომი!.. წა!
 მის მედიდურ ძალისაგან იხსენ მთელი დედა-მიწა.

ეს განძრახვა მეტად გმირულია და შეიძლება ბევრს მოე-
 ჩვენოს—გიჟურიც, მაგრამ არც ისე გიჟი იყო ფარსმან, რომ

კარგად არ აეწონ-დაეწონა რომის ძლიერება მცირე აზიაში. მაშინ რომი ჩაბმულ იყო მუდმივ ომში სხვადასხვა ერებთან, ამით სარგებლობდა ფარსმან და აგროვებდა ძალებს, თუმცა იცოდა, რომ მისი საქართველო იყო პატარა და ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა. «მოსავალი მარტოოდენ რკინაა და მეომრებიო», ამბობს იგი, მაგრამ დაფასება ამ «რკინის და მეომრების» და დაფასება საერთაშორისო მდგომარეობისა იმას აძლევდა ნებას მედიდურად განეცხადებინა რომის ელჩისათვის:

წადით აცნობეთ კორბულონს: რასაც რომ ბრძანებს ნერონი, ჩვენთვის საშიში არ არის, არცა საბედისწერონი.

აქ გადაჭარბებული არაფერია. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ამ ბრძოლიდან ბოლოს გამარჯვებული გამოვიდა ფარსმან. ეს იქიდან სჩანს, რომ ფარსმანს მისივე სიცოცხლეში რომაელებმა აუგეს ძეგლი რომში. ასეთი იყო მათი ჩვეულება: დაძლეულ მტერს ანადგურებდნენ, გამარჯვებულს კი პატივსა სცემდნენ მისი გულის მოსაგებელად. ცხენოსანი ფარსმანის ძეგლი დიდხანს ამკობდა ბელლონის საყდარს რომში და ავონებდა ყოველ რომაელს, რომ «ფარსმან, მეფე ივერიისა» დარჩა რომისგან დაუძლეველი.

მაგრამ ეს ერთი მხარეა—პოლიტიკური. არა ნაკლებ საინტერესოა მეორე მხარე—რომანტიული, რომელიც ამ პოლიტიკურ კანვანზე არის ამოქარგული დიდის ხელოვნებით.

ახლად გამეფებულს სომხეთში, ახალგაზდა რადამისტს აუჯანყდება ხალხი სწორედ მაშინ, როცა მან შეირთო თავის ბიძაშვილი მშვენიერი ზენობე. ცოლ-ქმარი გაიქცნენ, მიჰქრიან ცხენებით, რომ თავს უშველონ; უკან მისდევენ მემამოხეთა მხედრები, რომ ხელში ჩაიგდონ უკანასკნელი მეფის მკვლეელი და ტახტის უზურპატორი—რადამისტი. ზენობემ ვერ აიტანა ეს გადარეული სრბოლა ცხენებისა, რადამისტმა ვერ დასთმო თავის საყვარელი ცოლი და გადარეულმა სიყვარულით და მდგომარეობით ჩაკრა ხანჯალი თავის ცოლს, მერე წაიღო გასისხლიანებული ტანი და გადააგდო არაქსში, რომ ძვირფასი და დაუფიწყარი მეუღლე მკვდარიც კი არ შერჩენოდა მტრებს... ზენობე რაღაც სასწაულით გადაურჩა არაქსის ტალღებს; რა-

დამისტი კი გადადის სირიაში, შედის რომის სამსახურში და მალე დაუახლოვდება მცირე აზიის პროკონსულს კორბულანს.

გადის ათი წელიწადი.

ზენობე შემთხვევით ჩაუვარდება ტყვედ ფარსმანის მეორე შვილს, არზამს, და ამ რიგად თავს ამოყოფს საქართველოს დედაქალაქ არტანისში. ეს მშვენიერი ქალი, რომლის ჩამომავლობა აქ არაგინ იცის, ყველას ჰზიბლავს თავის სილამაზით და განათლებით. იგი შეუყვარდება არზამს, შეუყვარდება მამამის ფარსმანსაც, და ორივეს უნდა მისი შერთვა. ამ დროს ჩამოდის არტანისში რომის ელჩი, ეს ელჩი არის თვით რადამისტი, ზენობეს ქმარი, რომელსაც აქ არაგინ იცნობს და ყველას მკედარი ჰგონია.

ამ ნაირად არტანისში იგვანძება ყველა ძაფი—პოლიტიკური და რომანტიული. აქ მოხდება შეჯახება ორი პოლიტიკის—საქართველოს და რომისა. აქ მოხდება შეხვედრა ორი პირის—რადამისტის და ზენობესი... წარმოსადგენია, თუ რა დრამატიზმით უნდა იყოს სავსე ეს შეხვედრა.

მე ამ თხზულებას გამოვუცვალე სახელი: «რადამისტ და ზენობეს» მაგიერ დავარქვი «ფარსმან, მეფე ივერიისა», რაც ჩემის აზრით უფრო შეეთერება ქართულ თარგმანს, დროს და გარემოებას.

ვილჰელმ ვაზაგა.



ბიბლიოგრაფიული ცნობა.

შინაარსი ამ თხზულებისა კრებიონს ამოღებული აქვს რომის ისტორიკოს ტაციტუსისაგან, რომელსაც მოთხრობილი აქვს ამბავი ფარსმან მეფის, რადამისტის და ზენობესი (Annales, წ. XII, თ. XLV-LI). ისტორიკოს ტაციტუსი (55-120 წ.) თანამედროვე იყო ფარსმანისა და მისი გადმოცემა რა თქმა უნდა არ არის ლეგენდა.—კრებიონის თხზულება, ყველა კრიტიკოსის აზრით, მშვენიერი ნაწარმოებია. ვოლტერი აღტაცებული იყო იმით. «კომედი-ფრანსეზის» რეპერტუარიდან იგი არ მოხსნილა 118 წელიწადს (1711-1829).

თვით პოეტ კრებიონზე (Jolyot de Crébillon) ბევრი არა მაქვს რა სათქმელი. ის დაიბადა დიეონში 1674 წ. და გარდაიცვალა პარიზში 1762. იყო წევრი აკადემიისა. დასწერა რვა ტრაგედია, იმათ რიცხვში ყველაზე უკეთესია «რადამისტ და ზენობე».



ფ ა რ ს მ ა ნ

მ მ ფ მ ი ვ მ რ ი ი ს ა.

ტ რ ა გ ე დ ი ა.

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

ფ ა რ ს მ ა ნ, მეფე ივერიისა.
რ ა დ ა მ ის ტ, მეფე სომხეთისა, ფარსმანის შვილი.
ზ ე ნ ო ბ ე, რადამისტის ცოლი, ისმენიის სახელით.
ა რ ზ ა მ, რადამისტის ძმა.
პ ი ე რ ო ნ, სომხეთის ელჩი, რადამისტის მეგობარი.
მ ი ტ რ ა ნ, ფარსმანის მცველთა უფროსი.
პ ი დ ა ს პ, ფარსმანის მეგობარი.
ფ ე ნ ი ს, ზენობეს მოახლე.
 დარაჯნი.

სცენა არის ფარსმანის დარბაზში,
ივერიის დედა-ქალაქ არტანისში.

მ ა ქ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი.

ს ც ე ნ ა პ ი რ ვ ე ლ ი.

ზ ე ნ ო ბ ე, ისმენიის სახელით; ფ ე ნ ი ს.

ზ ე ნ ო ბ ე.

ფენის, კმარა, დამეხსენი... შენ მიკიდებ უფრო ალებს.
შენ მიღვივებ უფრო ცეცხლსა, რაც რომ გულში მიტრიალებს.
დამეხსენი, შემიბრალე... ჯერ არავის არ სმენია
ჯოჯოხეთი იმისთანა, სადაც იწვის ისმენია.
პოი ღმერთო უღმობელნო! საშინელო ცისა კიდევ!
უბედური ჩემისთანა განა ვინმე არის კიდევ?

ფ ე ნ ი ს.

ნუთუ სულ უნდა ვუყურო მე ამ ცრემლისა ფრქვევასა,
ნუთუ სულ უნდა ვიწვოდე, ჩუმაღ ვიძახდე მე ვასა?
არ გეკარებათ თქვენ ძილი, არ ჰხედავთ მოსვენებასა,
სიტკბო სალამოს არ მოაქვს, სიამე გათენებასა.
უწყალოვ, თუ სიყვარულის ალი გწვამთ გაუქრობელი,
ვერ მეტყვით? განა არავარ ერთგული, მისანდობელი?
თუ ტყვე ხართ ამ ქვეყანაში, სევდის გედებათ ალები,
სამაგიეროთ ყველასა ატყევევებს თქვენი თვალები.
რა გამოხვედით ციხიდან, ეშხით გულისა მთრობელი,
თქვენ გაიტაცეთ თვით მეფე, ივერიისა მყრობელი.
რა უნდა იმას, ვინც სძლია უძლევი რომაელები?
უნდა გვირგვინი დაგადგათ, სკიპტრით შეგიმკოთ ხელები.

თუ კი იმას მოეწყინა ცდა და ოხვრა ამოდენი,
თუ სიფიცხეს იგი იჩენს უსამართლოდ გულნატკენი,
ბრალი მართო თქვენ გედებათ: არ მიიღეთ მისი ხვეწნა,

და ამიტომ მის სიყვარულს გულის წყრომაც გადაეწნა.
 არა, ტურფავ, ეს არ ვარგა, შეასრულეთ მისი ნება,
 და ფარსმანიც უფრო ტკბილი, უფრო ნაზი შეიქნება.
 ზ ე ნ ო ბ ე.

შენზე უკედ მე მას ვიცნობ, ამ საშინელ მეომარსა,
 ტყუილია, ვერ გაუღებ შენ მას ჩემი გულის კარსა.
 ვიცი, ფენის, გამარჯვება იმას ბევრი მოუგია,
 დიდებასა წმინდა შუქით შუბლი მისი შეუმკია,
 მაგრამ ჩემთვის, დამერწმუნე, ქვეყანაზე არვინ არი
 მაზე უფრო საძაგელი, მაზე უფრო საზიზლარი.
 შენი ტკბილი მეგობრობის მე აქამდე მქონდა რიდი,
 ესლა ამ ჩემ შეცოდებას მეტის ნდობით შევისყიდი.
 გაგიტყდები... რომ გაიგებ, თუ რა იყო ჩემი ბედი,
 დარწმუნდები, რომ სიკვდილი ერთი ხსნაა და იმედი.

შენ გინახივარ ციხეში სიცოცხლე-გაარმებული.
 ამ ტანჯვისათვის მე, ფენის, არ ვიყავ დაბადებული.
 მეფენი იყვნენ ყველანი, ვინც წინაპარი მყოლია,
 მე სისხლი მიდის ღვთიური, სხვებთან რა შესატოლია.
 ეს ფარსმან-მეფე, რომელიც მართლა აზიის მეხია,
 რომლისა გული გმირული რომსაც ვერ გაუტეხია,
 რომლის სიყვარულს შენ მიჩნევ, ზიზლი ვერ მოგითმენია,
 სწორედ ძმა არის მისი, ვინც მე მომცა ჩემი ღღენია.
 ახ, იქნებოდა ნაკლები ჩემი ტანჯვა და ვაება,
 სხვა ძაფით, უფრო ტკბილითა, ბედსა რომ აღარ ჩაება
 მის ნათესავად ზენობე, მსხვერპლი ბედისა მწარისა:
 ეს ფარსმან-მეფე მამაა ჩემი საწყალი ქმარისა...
 რადამისტის.

ფ ე ნ ი ს.

რადამისტის? ღმერთო ჩემო!.. ნუთუ თქვენ ის
 ზენობე ხართ? ის ზენობე...

ზ ე ნ ო ბ ე.

დიალ, მე ვარ, ჩემო ფენის.

ასული ამდენ მეფეთა, ნაშთი გვარისა დიდისა,
 მაგრამ დამწვარი ბედითა, მსხვერპლი სოფლისა ფლიდისა.
 მამა-ჩემი და მისი ძმა, ეს ფარსმან ამპარტავანი,
 კცხოვრობდნენ ტკბილად, შესწყვიტეს რა დიდი ხნისა დავანი,

ორივე სომხეთი ჩვენ გვერგო, მამა იქ იყო მჯდომელი, მიტრიდატ, მეფე ძლიერი, ყოვლგნით ხელ-ალუპყრობელი. მაგრამ მისი ძმა, ფარსმანი, ხარბი და გაუძღომელი, შურით ჰკვდებოდა, ტახტისა მისისა იყო მდომელი. არ ჰქონდა მისი სახელის, არცა ძმობისა რიდება, და განიძრახა დაემხო მისი ტახტი და დიდება. ამიტომ მას მიაბარა, მოსაგებლად გულისა, თავისი ვაჟი პატარა, ყვავილი გაწაფხულისა.

მიტრიდატმა აიყვანა ვაჟი, მეტად გაუხარდა, თავისათვის მეგობარი, ჩემთვის საქმრო გამოწარდა. გაგიტყდები: გულ-უწყალო არ ვიყავი მისთვის მეცა და პასუხი საიმედო არ შემეძლო არ გამეცა. რა ვიცოდი, რომ ჰცრუობდა სილამაზე გარეგანი და იმაში ბაროტებას მეტი ჰქონდა გასაქანი.

ფ ე ნ ი ს.

მაინც ფარსმანს ვინ სჯობია? დამერწმუნეთ, ისმენია, გმირთა გმირი იმისთანა ჯერ არავის არ სმენია. რა მეფესაც ხელი მიჰყო დასამხოზად, გასაჟლეტად...

ზ ე ნ ო ბ ე.

ფენის, ვიცი: მას სახელი განთქმული აქვს მეტისმეტად. თუთხმეტის წლის შევიქენი, დავემზგავსე მზესა პირად; ქორწინება გადაწყვიტეს, გამომიწყვეს იგი ძვირად. რადამისტი მხიარული შიშს არაფერს არ იჩენდა, მაგრამ ფარსმან შემოიჭრა დასალუჰად მაშინ ჩვენდა. პართთა მეფეც, ტირიდატი, მას შემოჰყვა მისი ჯართან; მას უნდოდა ჩემი შერთვა, დამოყვრება ჩვენი გვართან. და ამ პართმა რომ გაიგო—სხვას აღუთქვეს ჩემი ხელი, წარი დასცა ქვეყანასა, მოსდო ცეცხლი საშინელი. მამა-ჩემმა ძმის ღალატსა მისებურად დასდო მსჯავრი: მამის ბრალი შვილს დაადო და იყარა მანვე ჯავრი. ფარსმანი რომ დაესაჯა, აგრე ძმობის გამტეხელი, მან აღუთქვა ტირიდატსა თვის ტახტი და ჩემი ხელი.

რისხვით დაუხვდა რადამისტ ამ შერცხვენასა მწარესა, ავარდა, ცეცხლი მოუდო დანარჩენ ჩვენსა მხარესა, მამა დაამხო, დაიბყრო ერთობ მის საბრძანებელი; შემდეგ, კუთხეც რომ არ დარჩა სისხლითა შეუღებელი,

ნუმიდიუსის წინააღმდეგ და სირიისა მთელისა,
 მამა მოსთხოვა პოლიონს, მაზე აღება ხელისა.

შევეცადე, რომ დამეხსნა მაშინ მამა უბედური,
 რომ მომეღბო საყვარლისა გული მხნე და მედიდური.
 მან აღმითქვა: «გენაცვალე, დავივიწყებ ყოველ ქირსო,
 ნეტარებას თუ მადირსებ, ამისრულებ დანაპირსო.
 იმ წამს, რა რომ ქორწინებით შემეკვრები, ტურფავ, შენო,
 ისევე ძველსა კანონებში თქვენს სამეფოს აღვადგენო.»
 ამ იმედით მხიარულმა ყველაფერზე დავრთე ნება,
 მოვეწყვე და მოვიკაზმე, დავაჩქარე ქორწინება,
 მაგრამ ჩემმა პირ-უმტკიცომ მოჰკლა მაინც ის საწყალი,
 რომლის ხსნა და გადარჩენა იყო ჩემი წმიდა ვალი.
 შემდეგ ჩვენი გახარება თვით ზეცამაც არ ინება
 და სისხლისფერ ჩირაღდნებით გაგვინათა ქორწინება.
 რა დღე იყო, ღმერთო ჩემო, რა საშინელ შემხვდა ქმარი.
 ფ ე ნ ი ს.

ვიცი, თქვენი წინააღმდეგ ირყეოდა მთა და ბარი.
 მამის მოკვლას გაბრალებდნენ, თუმც არ იყო დასაჯერი,
 და იმ თქვენმა ქორწინებამ ალაშფოთა მთელი ერი.

ზ ე ნ ო ბ ე.

ახ, უწყალომ არ იცოდა, თუ ვინ იყო მეფის მკვლელი,
 და ჩემ სიკვდილს მოითხოვდა მისი წყრომა საშინელი.
 ამისთანა მუქარის წინ, ამ ღელვითა განაშტერი,
 შეპკრთა თვითონ რადამისტი, შეეცვალა შიშით ფერი,
 მაგრამ მალე წამოენთო ბატონიშვილს ფიცხი გული
 და თვის ირგვლივ ააჩქეფა კვალად სისხლის ნაკადული.
 «წამო, მიტხრა, ეს ხალხი რომ ამ ნაირად ჰქუხს და მსჯისო,
 ენახოთ, ჩემსა სიმამაცეს გზას თუ როგორ მოუქრისო,
 წამომყევი...» სთქვა და იმწამს სწრაფად ხელში ამიყვანა,
 მრისხანე და შემაზარი გამოფარდა საყდრიდანა,
 გაიკაფა გზა და განვლო არტაქსატის მან მიდამო,
 სადაც ხალხი მღელვარებდა მიტრიდატის მოკვლის გამო.

რა რომ მოაწყდნენ ჩემ ქმარსა ყოველი მხრიდან ძალები,
 მაშინ შესდგა და ამღვრეულ შემომმაჩერა თვალები...
 მაგრამ ამ ამბავს ვერ გეტყვი. გულით ვერ აწერ მშვიდითა.
 ქმრისა ხსოვნასა პატივით უნდა მოვეპყრათ დიდითა.

ნუ მათქმევინებ იმ ტანჯვას, რაც მაშინ გამოვიარე,
 საკმარისია ისიცა, რაც უკვე გაგიზიარე.
 რადამისტ, ის საცოდავი, ისე ვერ მომიგონია,
 რომ არ დამადგეს თვალეში იმ წამს ცრემლისა ფონია.
 შენთვისა საკმარისია, ფენის, თუ გეცოდინება:
 სასო-წარკვეთილ სიყვარულს მოჰყვა სისხლისა დინება,
 ვიგრძენ საყვარლის ხელითა დანა მე გულსა ხეული;
 სისხლისა ღვარმა შეჰღება ჩემი საწყალი სხეული,
 და კლდიდან გადასროლილი საყვარლისავე ხელითა
 არაქსის ტალღამ წამიღო, ქველით შემსუდრა ბნელითა.
 ფ ე ნ ი ს.

როგორ? ნუთუ თქვენმა ქმარმა? ღმერთო ჩემო! ეს რა მხეცი...
 ზ ე ნ ო ბ ე.

როცა გრძნობა დამეკარგა, სიბნელეში გადავეცი,
 შემომხედა მაშინ ზეცამ, მომეღლინა შემწე ხელი
 და ამ რიგად ამაცდინა მე სიკვდილი უეჭველი.
 სიკვდილსა კი გადაფურჩი, მაგრამ, ვაი ჩემი ბრალი,
 ჩემი ქმარი უბედური მე გამიხდა სატირალი.
 შევიტყვე, რომ მამა მისი, ეს ფარსმანი საზიზღარი,
 ვითომ ძმისა სიკვდილითა იყო მეტად გულ-დამწვარი,
 ნამდვილადკი შვილი სძულდა, მისდა მიმართ სწვამდა შური.
 და მას ხალხი აუჯანყა, გახდა მათი მეთაური,
 დაიჭირა სომხეთი და—საქმეცა ჰქნა შემზარავი:
 თავის შვილი შეიპყრო და უბედურსა წაჰრა თავი.

თავი მივეც მაშინ სევდას, ვერ შემწყვდით ცრემლთა ღენა,
 გულს მიკლავდა, შემეზიზნა ჩემზე ზრუნვის გამოჩენა,
 მივატოვე უდარდელად სამშობლო და ჩემი გვარი,
 სხვის სახელით ვიყიალე. ვნახე ბევრი მთა და ბარი,
 განვიცადე ათი წლისა მონობა და მწუხარება,
 უცნობსა და უგვარტომოს არსად მქონდა განარება.
 ბოლოს, როცა დავბინავდი, და ცხოვრება ვიწყე წყნარი,
 ატყდა ომი, დამინგრის აქაც თავის შესაფარი.
 სწორედ არხამ შემოიჭრა მახვილითა იმ მხარეში
 და დაიწყო, ხელში ხმლითა, მან იქ ქლეტა და თარეში.
 არხამ ბოროტ მამისაგან თუმცა არის წარმომდგარი,
 მაგრამ თვითონ, ჩემი აწრით, კარგია და შესაყვარი.

იგი ძეა ფარსმანისა, მთესაგისა შური-შულის,
 რადამისტის იგი ძეა, უბედური ჩემ მეულის.

ფ ე ნ ი ს.

ქალის ნამუსი კარგია, არის უცხო რამ შვენება,—
 მაგრამ ქმრის ხსოვნას, მერწმუნე, წყენა არ მიეყენება,
 თუ სიყვარული მიიღე კეთილშობილი გულისა...
 ხომ დაგიმტკიცათ თქვენ მეფემ ძალა მის სიყვარულისა?

ზ ე ნ ო ბ ე.

არზამი მაინც, ოჰ ღმერთო, ნეტა აქ იმყოფებოდეს
 და ამით ჩემსა იმედებს ბოლო არ მოეღებოდეს.
 მაგრამ არზამი შორს არის, დავალება აქვს მამისა,
 და მე საშველსა ვერ ვხედავ, არც იმედი მაქვს ამისა.
 სომხეთიდანაც ხმა მოდის, რომ მისი მიდამონია,
 რაც მე მეკუთვნის კანონით, სადავო არა მგონია,
 ჩაუვარდება დღეს თუ ხვალ პართებს ან რომაელებსა,
 ან შეიძლება—ვინც იცის?—უფრო უღირსსა ხელებსა.
 ფარსმან კი მზადებაშია, ჰტოვებს ამ არე-მარესა,
 ამპარტავანი უქადის დაპყრობით ყოველ მხარესა.

ფ ე ნ ი ს.

თუ აგრეა, რაღა ვინდათ, რა გაქვთ თავის სატკენარი?
 ჰტხოვეთ რომსა მფარველობა, უფლება ხომ თქვენკენ არი.
 მისი ელჩი დღეს ჩამოდის, სირიიდან წამოსული,
 რომ სომხეთის საკითხავსა მისცეს ერთი დასასრული.
 დედოფალი თქვენ ყოფილხართ! ესლა უნდა იმოქმედოთ,
 რომის ელჩი აქ ჩამოდის თქვენი საქმის საიმედოდ.
 დღეს მოველით არტანისში იმას, აი ილიბალი:
 ჰტხოვეთ თვითონ კეისარსა თქვენ შველა და სამართალი.
 ისარგებლეთ ამ ელჩითა, შეეცადეთ მოიხმაროთ,
 ან გიშველოს, ან სჯობია სულ იმასთან გაიპაროთ.

ზ ე ნ ო ბ ე.

ამ დარბაზსა რაღა გუჟო, როგორ გავალ აქედანა?
 უცნობსა და მონად ქმნილსა გამიგონებს ვინმე განა?
 რა ვქნა?!.. მაგრამ რასა ვხედავ, მოჩვენებას თუ არზამსა?

ს ც ე ნ ა II.

ზ ე ნ ო ბ ე, ისმენიის სახელით, ა რ ზ ა მ, ფ ე ნ ი ს.

ა რ ზ ა მ.

ნებას მაძლევთ შემოვიდე, დაგენახოთ ერთსა წამსა?

ზ ე ნ ო ბ ე.

ნუთუ თქვენ ხართ, მეფის შვილ? ნუთუ უკვე ალბანია...

ა რ ზ ა მ.

დავიპყარი კიდეც, მოვრჩი... მაგრამ ტურფა ისმენია მაშინ, როცა აგრე მწყალობს ბრძოლის ველზე გამარჯვება, უღმობელი არის კიდე, გულ-უწყალო. ჩემთვის ჰრჩება. დამწვარი და უიმედო. შორს ვერ დავრჩი... ვიცი, რომა ამით მამას გავაჯავრებ. არ ამცდება მისი წყრომა. მაინც მოველ, რომ მენახა თქვენი სახე, თქვენი პირი, მივატოვე ჩაბარებულ ქვეყნებისა განაპირი.

ახ, ბატონო, ნუთუ მართლა მეფე ჩვენი უღმობელი თქვენი ეშხის მონა გაჰყდა, ჩემი ბედის დამმხოველი? ნუთუ მართლა უნდა მოჰხდეს დღესვე თქვენი ქორწინება? აპატიეთ ჩემ სიყვარულს ეს ღელვა და აღტყინება.

თქვენ არ გეამათ ეს კითხვა, ვხედავ მე თქვენსა წყენასა, გული მეწვის და მიტირის, თქვენ კი მარიდებთ სმენასა. მართალ ხართ! აბა რად გინდათ ყვედრება უბედურისა? მხოლოდ საყვარელს ბედნიერს ნება აქვს საყვედურისა. მე კი, მე ვიყავ ყოველთვის უარყოფილი, გმობილი, დავიწყებული იმედით, ტრფობით გულს ლახვარ-სობილი, თქვენი ერთგული ყოველთვის, თქვენთვის თავგამოდებული,— მე რალა მეთქმის, ვაი-მე, რა მქონდა დაპირებული?

მაგრამ როცა გავიგონე, რომ თხოვდებით, ისმენია, მე გავგიჟდი მწუხარებით... ვერა, ვერ მომიტმენია: სიყვარული ნახი, წმინდა, რაც რომ ცეცხლად მე მომედო, შურიანი მაინც ჰრჩება, თუნდაც იყოს უიმედო.

ზ ე ნ ო ბ ე.

გამომიცხადეს ტრფობა მე, არ დაგიმალავ, თავადო, მაგრამ რად მინდა, რას ვაქნევ? ფასიც არ მინდა დავადო.

რაც გინდ რომ იყოს მეფისა ტახტი, ძლევა და ქონება.
 იმისთვის დახურულია ჩემი გული და გონება.
 ნუ ახსნით ამ ჩემ სიტყვასა, როგორც თქვენს წაქეზებასა,
 მე ვერ მივიღებ თქვენს თხოვნას, ვერცა თქვენს გატაცებასა.
 ა რ ზ ა მ.

ახ, თუმც ცეცხლი მეკიდება. თუმცა იწვის ჩემი გული,
 მაინც მინდა მარტო ვიყო თქვენგან დამწვარ-დადავული.
 მე დამსაჯეთ. დამადევით განსაცდელი ყოველგვარი,
 ოღონდა კი მამა-ჩემი ნუ იქნება თქვენი ქმარი.

თუ სხვამ უნდა უსათუოდ გული ეშხით აგითრთოლოს,
 იყოს მაინც ისეთი, რომ შეეებრძოლო, შემებრძოლოს,
 რომ აღემატოთ უყოყმანოდ ხელი მისდა განსაგმირად.
 გულს თავისი კანონი აქვს, კანონებსა არღვევს ხშირად;
 ამას ცხადად მე მიმტკიცებს გული ცეცხლში ნადებარი:
 მე არ ვიცი—მამა ჩემი თუ გახდება თქვენი ქმარი,
 თუ სანამდე მე მიმიყვანს უსამართლო მისი ხელი?
 მან წამართვა ბევრი რამე. კვლავ სიკეთეს არ მოველი.

ეხლა სომხეთს მეფე უნდა, ითათბირეს ერთი ხანი,
 ჰიერონის მეოხებით ჩემზე შედგა არჩევანი.
 გამიხარდა, რომ ამ რიგად მონობისგან ვიხსენ თავი,
 დაწამოველ, რომ თქვენთვისა მომელოცა ეს ამბავი.
 მაგრამ მამა ხელსა მიშლის მოშურნე და უღმობელი,
 უნდა ისევ გამომტაცოს ეს ტახტი და თქვენი ხელი.
 მაგრამ დეე, ორივე სომხეთს ეპატრონოს მეფე ფარსმან.
 ოღონდ თავი დაანებოს ჩემი ცეცხლის მომდებარს მან.
 მოვეწონო თქვენსა თვალებს, ეს ნატვრა მაქვს ერთად ერთი,
 და არ მინდა სხვა დიდება, სხვა საუნჯე, ჰხედავს ღმერთი.

ზ ე ნ ბ ე.

მერე აქ რად მომიყვანეთ? რად შესცვალეთ ჩემი ღლენი?
 სხვაგან, რაცგინდ ყოფილიყო ჩემი ყოფა მოსაწყენი,
 ამ ყოფასა მაინც ჰჯობდა: წყნარი ვიყავ მე და მშვიდი.
 თქვენ კი თქვენი ყურადღებით მომაყენეთ ტანჯვა დიდი.
 მერე რა გსურთ? რას მოვლით ნეტა თქვენი ტრფობიდანა?
 საწყალ მხევალს განა ჰშვენის მოტრფიალე თქვენისთანა?

არ იცით, ვინ ვარ, რა ტანჯვა მინახავს მოუთხოვრებელი,
 არ იცით, რა მწევას, რატომ ვარ აგრე ცრემლ-შეუშრობელი.

თუნდაც რომ ტრუობამ შეგვეყაროს, შეგვიკავშიროს გულები,
 ვერ მოგთხოვდები, დავრჩებით მაინც გულ-დადაგულები.
 თუმცა მეფესა ვუყვარვარ, მას არ აკლია მხნეობა.
 მაგრამ საშიში არ არის თქვენთვის მის მეტოქეობა;
 სხვა ვალი მადევს, ვერ ვბედავ მე მისი გადალახვასა,
 ის ვალი თქვენცა გეხებათ, ჩემსა გიკრძალავს ნახვასა...

მაგრამ ჩუმაღ, ვილაც მოდის, მგონი არის მეფე ფარსმან.
 ეჭვის თვალით არ შეჰხედოს ნეტა ჩვენსა საუბარს მან.

ს ც ე ნ ა III.

ფარსმან, ზენობე, ისმენიას სახელით, არზამ,
 მიტრან, პიდასპ, ფენის.—დარაჯები.

ფარსმან.

რასა ვხედავ? ჩემი შვილი არტანისში არის განა?
 თქვენ, ბატონო. ჩუმადა ხართ? რა განძრახვამ მოიყვანა?
 არზამ აქა, ამ დარბაზში, თქვენს წინაშე!.. რაღა უნდა,
 როცა თვით მე არც კი ვიცი, როდის ანუ რად დაბრუნდა?
 (არზამს)

შენ, თავადო, შენ სარდლობა მოგანდევინიშისთანა,
 რომ სახელი არა გაკლდა, არც პატივი შესაფერი,—
 მიპასუზე, აქ რა გინდა? აქ რაღა გაქვს დასაზვერი?
 რა განძრახვით წამოსულხარ? ვინ გიბრძანა? რად მოხველი?
 წიგნი მაინც მოგეწერა, თუ იყავი წამომსვლელი.
 არზამ.

თქვენი მტერი დავამარცხე და წამოველ... რა მეგონა,
 რომ ამისთვის გავხდებოდი გასაკიცხი თქვენი მონა.
 კარგად იცნობთ ჩემსა გულსა, არ მიმიძღვის თქვენწინ ბრალი,
 და ბეჯითად მეც ვასრულებ, რაც კი არის ჩემი ვალი.
 დამერწმუნეთ, რაც მომანდეთ, ავასრულე ყველაფერი,
 თუ აქა ვარ, ეს ჰნიშნავს, რომ დავამარცხე თქვენი მტერი.
 მაშინ, როცა ჩემი სისხლით მოგიხვეჭეთ გამარჯვება,
 როცა თქვენი სახელი ჰქუხს, ისმის თქვენი ქებათ-ქება,

გავიბედავთ—არ ველოდი, თუმც ბრძანდებით ზოგჯერ ფიცხი, რომ ამისთვის ვიქნებოდი ამ ზომამდე გასაკიცხი.

გავიგე, რომ სირია და რომი თქვენა გემუქრებათ, კორბულონსა ჯარი მოჰყავს ივერიის ასაკლებად; რომ გავიგე ეს ამბავი, გამოვიქე აქეთყენა.

მეგონა, რომ სიხარულით შემხვდებოდით.—წარმოდგენა მე არ მქონდა იმისი, რომ დარჩებოდა ეს საწყენი და უნდობლად შეჰხედავდა ამ სიფხიზლეს გული თქვენი. მოველ თქვენი სანახავად, აქ დავდექი კარებთან და, ის იყო რომ, სწორედ ამ დროს, ისმენია ც შემობრძანდა.

ფ ა რ ს მ ა ნ.

ვერ შემაშინებს მე თქვენი რომი თუ კორბულონია, ვიცნობ! არ ერთჯერ იმათთან ბრძოლა მედგარი მქონია. მაკვირვებს—სამსახურისა ვითომდა გასაწყველად, ამ სიშორიდან მორბიხარ ჩემგანა მოუწყველად.

ან რა გიქნია ისეთი, მითხარ, თუ შეიძლებოდეს, რომ ერთგულ ყმასა ანუ შვილს ვალად არ ევალებოდეს? ახალი დანაშაულით—ნუთუ ეს არ გეყურება—წაშლილი არის ყოველთვის წარსული დამსახურება.

ან რა წარსული? რად უნდა მეფემ ის მოიგონოსა, როცა ზრახვებსა ის ებრძვის ფლიდსა და უკანონოსა? მომშორდი, წადი აქედან, სანამ მზე ჩაიწურება,

გასწი კოლხეთში, იტირე მანდ შენი უბედურება.

განსაკუთრებით გიკრძალავ ისმენიასი ნახვასა.

მე იმას ვირთამ! ვაცხადებ მეფის ნებას და ზრახვასა.

დღეს უნდა დავაგვირგვინო წადილი ჩემი გულისა.

ეს ერთად ერთი საგანი ჩემი ნაზ სიყვარულისა

ღირსია მეფურ ღიდების, ტახტი—მის ილიბალია:

აქამდე თქვენი მხევალი აწ თქვენი დედოფალია.

საკმარისი უნდა იყოს, რომ დაასკვნათ აქედანა, საჭირონი თუ არიან აქ დამსწრენი თქვენისთანა.

გადით!

ს ც ე ნ ა IV.

ფარსმან, ზენობე, ისმენიას სახელით, მიტრან,
 ჰიდასპ, ფენის.—დარაჯები.

ზენობე.

მაგრამ რა უფლებით გგონიათ, რომ ჩემი გული
 იზიარებს თქვენსა აღსა, მისგან არის დადაგული?
 სულ ტყუილად მე მპირდებით დიდებას და ტახტსა სრულსა,
 სულ ტყუილად: ამ სასყიდლით ვერ მოიგებთ ჩემსა გულსა.
 გარდა ამის, რა იცით, რომ მე არა მყავს უკვე ქმარი
 და არ არის ჩემი ბედი ქორწინებით გადამწყდარი?

რა იცით, ვინ ვარ, საიდან, რა გვარის ჩამომავალი?
 თქვენი ტრფომისტვის იქნება დაბრკოლებაა მრავალი.

ფარსმან.

მე არ ვიცი, სისხლი თქვენი რა სისხლია, ვისეული,
 მაგრამ თუნდაც იგი იყოს მეტისმეტად ღირსეული,
 თვით სახელი ფარსმანისა განთქმულია იმდენად, რა
 ღმერთებსაც კი დამოყვება შემოქმედი მე შევკადრო.
 არა, ვხედავ, რაღაც ხერხი ესლა უნდა მოიგონოთ.
 ტყუილია, ეგ ვერ გასტრის! მეფეს უნდა დაემონოთ.
 მე ვიხმარე ყოველ ღონე, რომ მომეგო თქვენი გული,
 არა მეფემ, ვით მიჯნურმა გამცნეთ ჩემი სიყვარული;
 გამამწარეთ, უარ-მყავით უდიერად, მედიდურად,
 აწ მეც მკაცრად მოგექცევეთ, ნუ დაგრჩებათ დასამდურად.
 თუ თქვენთანა საჭიროა ლაპარაკი მეფურ ენით,
 მე გიცხადებთ: ფრთხილად-მეთქი! ბევრს წუწუნსა დაეხსენით!
 ამისთანა ურჩობასა ვერ იტანენ ხელ-მწიფენი,
 თუნდაც გული ჰქონდეთ ნაზი, ფიანდაზად დასაფენი.
 ყველაფერი, ტრფობაცა კი, უნდა იყოს მათი მონა,
 როგორიცაა რომ არ იყოს მიცემული სიტყვის წონა.
 ვატყობ, თქვენა უარზე ხართ... ეს არზამის არის ბრალი,
 თუ ჩემსა წრფელ სიყვარულსა აქ არა აქვს გასავალი.
 ნუ მიმიყვანთ იმ ზომამდე, რომ ვეძიო შვილზე შური
 და შევწირო ჩემ სიყვარულს მის სიცოცხლე უბედური.

ს ც ე ნ ა V.

ზენობე, ფენის.

ზენობე.

მტარვალო! უნდა შეეცვალო ეხლა სინაზე გულისა,
 რომ გაზღვევინო სიმწარით სიმწარე ჩემი წყლულისა.
 მე იარალად მოვიხმარ სუსტი შვენების ჯადოსა:
 იმან შენ უნდა დაგამხოს, სამარე მოგიმზადოსა.
 რას ვკარგავ? მითხარ, ჰე სულო მამისა უბედურისა,
 ჟამი არ დადგა დავიწყო ეხლა ძიება შურისა?!
 აჩრდილო ქმრისა ძვირისა, მოდი, მომეცი მხნეობა,
 შენებურ სიყვარულისა მეცა მომფინე ზნეობა.
 მტრის სისხლსა აგალებინებთ ეხლა მე ჩემი ხელითა...
 მე თვითონ შვილსა აფუნთებ გულსა ალითა მწველითა.
 ის შვილმა უნდა დასაჯოს—ის ცოდვა იმოდენია,
 რაც ფარსმან-მეფეს უწყალოს თქვენზე რომ ჩაუდენია.

ცამ არზამი აირჩია იარალად სისხლთა დენის,
 მე ჩავუდებ ხელში დანას... წადი, ჰნაზე იგი, ფენის!
 უთხარი, რომ იქონიოს ჩემზე ცოტა სიბრალული,
 შენ შენი მხრით შეეხვეწე, მოუხიბლე ისე გული;
 აუხსენი—როგორ მტანჯავს აქაური მმართველობა;
 შეეხვეწე მომიპოვოს მე რომისა მფარველობა;
 რომის ელჩში, აქ რომ მოდის, თუ იქნება სანდობარი,
 ეცადოს, რომ მომიპოვოს დამხმარე და მეგობარი;
 მოაგონე, თუ რას ჰნიშნავს სომხეთისა ტახტი დიდი,
 აუწერე, თუ რა ტანჯვას მე საწყალი განვიცდიდი,
 ტახტის ბრწყენით დაავიწყე მამისადმი მისი ვალი,
 აუწერე ჩემი თავი დამწვარი და შესაბრალო...

თუ სიყვარულმა დამღუპა, შეება მომიპოვო ყოველი,
 იმასე უნდა მიემართო, შეელას მისგანვე მოველი.



მექსედება მეორე.

სცენა პირველი.

რადამისტი, ჰიერონ.

ჰიერონ.

ეს რა არის? ვისა ვხედავ? ცხადი არის თუ სიზმარი?
რადამისტი ცოცხალია! ამ მხარეში ჩამომხტარი!
ნუთუ ზეცამ ინება და დაგვიბრუნა თქვენი თავი,
გამახარა, ამომიშრო თვალში ცრემლთა შესართავი?
ხელმწიფეო, ნუთუ თქვენ ხართ? აი მართლა ბედისწერა!
აქ გგონიხართ ყველას მკვდარი, ეს სიკვდილი ყველას სჯერა.
რადამისტი.

აჰ, ჰიერონ! ნეტავ იმ ხელს, ვინც მომიღო ტანჯვის ალი,
ვინც მომტაცა ჩემი სკიპტრა, ბარემ მეცა მოვეკალი.
მაგრამ ზეცამ შემარჩინა სამწუხაროდ ჩემი ღლენი,
სევდიტა და საშინლებით მისგე მიერ შენათხზენი.

არ მინდა, ჩემო ჰიერონ, კვლავ შემომხედო ღხენითა,
უბედურ მეფეს მაამო ერთგულებითა შენითა;
მიუფრე მხოლოდ, როგორც რომ გიქსა და გადარეულსა,
კაცთაგან უკვე გაკიცხულს, მალლა ღვთისაგან წყეულსა;
შეჩვენებული ზეცითა დაგდივარ, დავიარები,
თან დამაქვს ცოდვა მრავალი და სინანულის ჯარები.
ღირსი არა ვარ სიცოცხლის, არც შენი სიყვარულისა,
საზიზღარი ვარ და მხოლოდ საგანი სიბრალულისა.
მე ვუღალატე ბუნებას, ვარ სიყვარულის მგმობელი,
ყაჩაღი, ფიცის გამტეხი, გამწრდელთა დამახრჩობელი.
სინანული ზომ არ მწვამდეს მუდამ, ღამით და დღისითა,
ზეცა არ არის, ვიტყოდო, მქუნი რისხვითა მისითა.

ჰიერონ.

მომწონს მე ეგ სინანული, სათნოებით ანაშალი.
მაგრამ განა ადვილია მოიხადო ყველგან ვალი?
მერე თვითონ მიტრიდატმა თქვენ ზომ გაგცათ და გიმტყუნათ?
ამით იმან შურისგების თქვენც უფლება დაგიბრუნათ.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

ნუ ლა მამართლებ, ჰიერონ, მაშორე შენი ქებანი.
 ხომ გახსოვს მიტრიდატისა ბედისა საშინლებანი?
 ხომ გახსოვს ის დღე, რომელიც შეგვარ ფიცითა ზენითა
 და ბევრსაც შევალეზინე იგი სისხლისა დენითა.
 დასთვალე ბოროტებანი, რაც მაშინ ჩამიდენია,
 ჩემი სევდაცა მათ უდრის, სიმწარეც იმოდენია.
 მე მიტრიდატი, ამდენი რომ მომყენა წვალეზა,
 უფრო სასტიკად დასჯილი, დღესაც არ შემებრალება;
 ის ღირსი იყო მომეკლა, გულში ლახვარი მესია,
 მაგრამ ზენობემ რალა ჰქნა? რა ფიცი გაუტეხია?!
 ახ, შენ აღელდი, მე ვხედავ: შენ თვითონ შენი ხელითა
 ხანჯალს დასცემდი უთუოდ ამ გულს, მოცულსა ბნელითა,
 რომ იცოდე, თუ რა მხეცურ გამოვიჩინე ბუნება,
 როგორ წამიღო ეჭვმა და გადამიბრუნა გუნება.
 აი მკვლელობა საზარი! ის ვერ გამოთქვას ენამა.
 იქნება, გაგაგებინოს მხოლოდ ცრემლისა დენამა.

ჰ ი ე რ ო ნ.

თქვენი სევდა მეც მალონებს, თქვენი დღისა სიბედშავე,
 მაგრამ იმას არ ვეხები, ხართ თუ არა დამნაშავე.
 დამნაშავე ნაკლებია, ვინც ჰნანობს და აგრე ჰტირის.
 მეცოდებით, რომ მსხვერპლი ხართ ამისთანა გასაჰირის.
 სასოებას ნუ წარიკვეთთ, დაიმშვიდეთ თქვენი გული
 და მიაღებთ...

რ ა დ ა მ ი ს ტ.

რა გიამბო? რალას გეტყვი ბედი-კრული?
 როგორ უნდა აგიწერო ჩემი გიჟურ აღტყინება?
 რომ ვიგონებ ამ წარსულსა, სისხლი გულში მეყინება.
 რალად გინდა განვაახლო ეს წარსული საშინელი?
 კარგად იცი, რის მომქმედიც იყო მაშინ ჩემი ხელი.
 გახსოვს, ოდეს ხალხი ჰდუღდა ტალღებივით მონადენი?
 წარმიშალეს ნეტარება, სიყვარულის ტკბილი დღენი.
 მაგრამ არა, არ შემდრკალა მაშინ ჩემი სიმაჰაცე.
 შენ ხომ გახსოვს—ზენობე მე იმათ თვალწინ გამოვტაცე?
 თავსა მაინც ვერ ვუშველე, ვაქო ჩემი სიმტკიცე-რა?
 წარმოიდგენ, რა ყოფაში დამეწია ბედისწერა?

მოვინდომე თავის მოკვლა, ზენობე კი მომესვია,
 ჩემ სისხლიან იარაღსა ცხარე ცრემლი დაანთხია,
 მუხლსა, მუხლსა, მიკოცნიდა ტუჩი-ვარდი ნაპობარი,
 ოცჯერ მითხრა სიტყვა ტკბილი, გულში ცეცხლის მომდება-
 ახ. ჰიერონ, რაღა გითხრა? ან გადმოგცემ ენით განა? [რი...
 არასოდეს არ მინახავს მე სიტურფე იმისთანა.

მაგრამ სიტურფით ამითა დავრჩი გულ-მოუღბობელი,
 ცეცხლი ამენტო ექვისა, მწველი და გაუქრობელი.
 ნუთუ ტირიდატს, ვიფიქრე, გულზე დაცემით დანისა,
 უნდა მივუძღვნა საუნჯე შვენების ამისთანისა?!
 კვლავ გადამრია ზენობემ თვალეებით ცრემლიანითა
 და სიყვარულის მაგიერ გული გავუჰე დანითა.

შემდეგ ავდექ არეული, მართლა გიჟის დასამგვანი,
 არაქსისკენ გავიტაცე მის ლამაზი ქორფა ტანი;
 მის ტალღებში ამ ხელებმა გაუთხარეს მას სამარე...
 და დაბნულდა აგრე ჩვენი ქორწინების მზე და მთვარე.
 ჰ ი ე რ ო ნ .

დედოფლისათვის, უფალო, რა საშინელი ბედია!
 რ ა დ ა მ ი ს ტ .

შემდეგ გავვარდი, წავედი, უკან არ მომიხედია.
 დავკარგე ჩემი მხლებლები, და გიჟი გიჟურადავე
 მივენდე ბედისწერასა, ცხენსა მივუშვი სადავე.
 რომ მომეწივნეს უბედურს, შემოვებრუნე ცხენია,
 ვეხეტქე მღევართ. ვაჩვენე ბრძოლისა სიმარცხენია,
 მამა-ჩემი კი უწყალო, მტერი ძის ბედიკრულისა,
 მათ აქეზებდა, ის იყო მათი ჩამდგმელი სულისა,

ბოლოს დამჭრეს და როცა რომ დადგა ჩემი აღსასრული,
 რომის ჯარი წამომადგა, სირიიდან წამოსული.
 დამინახეს, გაუკვირდათ ველურობა ამისთანა
 და დაჭრილი გამომგლიჯეს ჩემი მტრების ხელიდანა.
 კორბულონი მოდიოდა, გეტყვი ამის გასაგებად,
 მიტრიდატის მოკვლის გამო, მისი სისხლის ასაღებად.
 არტაქსატის ციხის ახლო მე მას ხელში ჩაგვუვარდი,
 არ იცოდა, ვინ ვიყავი, მიმიღო და შევუყვარდი.
 შეიძლება, ჩემი ყოფამ მაშინ გული დაუღონა,
 შეიძლება, სიმამაცე ჩემი იმას მოეწონა,

მიხსნა მე მის სულგრძელობამ, თავი აღარ მოვიკალი,
 გადავრჩი და მოვჯობინდი, გადუხდელი დამდო ვალი.
 დაფუძალდე ამ რომაელს, გავხდი მისი მეგობარი,
 მაგრამ არ გამიმხელია სახელი და ჩემი გვარი.

შემდეგ სევდით ვატარებდი ჩემსა დღესა მე დღე-ბნელი,
 მოგონება გულს მიკლავდა საწარელი, საშინელი.
 ჩემსა ტანჯვას ვერ ავიწერ: ჩემი სული, ჩემი გული,
 არასოდეს არ მქონია ისე ცეცხლში გახვეული.
 სიყვარული, რომელიცა მე თვითონვე უარ-გყავი,
 ესლა ისევ წამომმენტო უფრო ტკბილი, უფრო მწვავე;
 ვიგონებდი ჩემი ხელით განწირულსა ჩემსა მზესა,
 გულის ფერფლი აღს მიჰქონდა უტკბესსა და უნახესსა.
 ეს ნაღველი საშინელი, სიყვარული—სინანული,
 არავისთვის გამინდვია, გულში მქონდა დამარბული.
 ამნაირად მე დღე ჩემი აზიაში გავატარე,
 ხოლო ჩემი იმედები კორბულონზე დავამყარე.

ყველგან საფრთხეს დავეძებდი—იღბალია საკვირველი!—
 სადაც სიკვდილს შევეტაკე, შევიძინე იქ სახელი.
 დამავიწყდა წარსულიცა, დიდება და ჩემი ძალა.
 ათმა წელმა ის წარსული როცა თითქმის სულ წაშალა,
 გავიგე, რომ სომხეთისა ხალხია თუ მთადაბარი
 საზიზღარი ხელმწიფობის უნდა გახდეს ქვემდებარი,
 გავიგე, რომ ეს ქვეყანა უნდა იგდოს მამა-ჩემმა
 და დაიდგას მედიდურად თავზე მისი დიადემა.
 ამ ამბავმა მომაგონა კვლავ წარსული საამური,
 გული წყრომით ამომევსო, გამელვიძა ისევ შური,
 და კორბულონს გავუმხილე ჩემი გვარი, ჩემი ხედრი,
 ჩემი გული, ფარსმანისა წინააღმდეგ ანამხედრი.
 მის დიდების მტერი გავხდი გადაჭრილი, გაბედული;
 ბოლოს აი, რომაელთა ელჩად ვიქმენ დანიშნული.
 კ ი ე რ ო ნ .

მერე თქვენთვის, ხელმწიფეო, რა აზრი აქვს ამ წოდებას?
 რა გზით გინდათ მიაღწიოთ თქვენი შურის განაღდებას?
 ნუ ივიწყებთ, გატაცებამ შურის-გების მისაწვდენად
 თქვენ საშინელ სიძნელეში ერთხელ კიდევ ჩაგაყენათ.

გაუფრთხილდით, უკუ-აგდეთ აჩქარებულ გარდაწყვეტა.
 ამდენ ცოდვით დატვირთული რას აპირებთ ეხლა ნეტა?
 რ ა დ ა მ ის ტ.

რა ვიცი, ჩემო ჰიერონს! გიჟი ვარ, გადარეული.
 ზოგჯერ კეთილი გულითა, ზოგჯერ ბოროტი წყევული,
 სათამაშო ვარ ვნებისა ფიცხი და დაუდევარი.
 რა ვიცი, ძმაო, მე ჩემთვის თვითონ ვარ გაუგებარი.
 ამ საწყალ გულსა, სადაცა ლელვა დღე-მუდამ დიდია,
 ცოდვა სძულს, მაგრამ სიკეთეც ბარგად არ აუკიდია,
 სწვამს სინანულით წარსული, დიდსა განიცდის ტკენასა,
 მაგრამ არ დაერიდება ხელახლად სისხლის დენასა.
 ვხედავ ჩადენილ შეცდომებს, კი არ ვსარგებლობ ამითა,
 და ყველაფერიც მომძულდა, გული ამევსო შხამითა.

ამ ყოფაში რაღა გითხრა, რა მომადურენს აქეთკენა?
 სიყვარული, მძულვარება, თუ სხვა რამე გულის ტკენა?
 მე ზენობე დამეკარგა!.. ამ საშინელ წამიდანა—
 რა მწადიან უბედურსა—საკითხავი არის განა?
 უიმედო, უსამშობლო, უგვარტომო, უოჯახო,
 მოვდივარ, რომ ხელში ხმლითა ცადამიწას შევეჯახო.
 მე არ ვიცი, რა შხამია ჩაგუბებულ ჩემსა გულში,
 მაგრამ ვხედავ, იგი მწამლავს, ჰღვრის სიგიჟეს სინანულში.

მოვდივარ ხელში ჩავიგდო მიზეზი ყველა ამისა,
 გული ჰგონობს, იგი მეძახის: «სულ ეს ბრალია მამისა».
 ვინ იცის? აქვე, იქნება, სხვა სამართალიც რამ არის,
 დასათრგუნავად ცოდვისა, გასამართლებლად კამარის:
 იქნება, ჩემი ღლისათვის აქ განსაცდელი დიდია;
 დიდი ხანია, ცოდვილი, იგი ბეწვზე რომ ჰკიდია;
 თუ შემეწია ზეცა მე, მისი წყალობა მეწვია,
 გადასაჰრელი სწორედ რომ ეს საცოდავი ბეწვია.

ჰ ი ე რ ო ნ.

წადით, წადით, ხელმწიფეო! არ შემოდგათ აქა ფეხი,
 თორემ ცასა განარისხებთ, არ ავცდებათ მისი მეხი.
 ახ, ნეტავი თვით ბუნებამ ჩავინელოთ წყრომის ალი:
 ეს ქვეყანა თქვენთვისა ხომ სადმართოა და შეუვალი?
 თუ სისხლს ეძებთ, ივერიას—თქვენს სამშობლოს—მოერიდეთ.
 წამობრძანდით ჩემთან ერთად. სჯობს სომხეთში გადავიდეთ.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

არა, არა, დრო არ არის! დეე მოხდეს, რაც მოხდება.
 სისხლს ავიღებ. რომსაც ვარგებ, ან სიკვდილი არ ამცდება.
 ამ განძრახვით მოსული ვარ, არცა რომს აქვს სხვა სურვილი,
 ნდობითა და უფლებითა ვარ იმისგან აღჭურვილი.
 უნდა ძალა აღადგინოს მან თავისი, ჩემიც აგრე;
 მამი-ჩემის წინააღმდეგ მეცა მკლავი მოვიმაგრე.
 ეხლა რომის სურვილია მასთან ომი აიციდინოს,
 განარიდოს თავი საქმეს, მისთვის ხშირად სამარცხვინოს,
 დაიჭიროს სომხეთი, ან ამ ქვეყნისა მთა და ბარი
 მე და ფარსმანს გაგვიხადოს სადავო და საჩხუბარი.
 სომხეთისა მეფე მე ვარ! ამასა სცნობს კეისარი.
 ივერიის გულში არის მიმართული ეს ისარი.
 მამი-ჩემის სიგიჟე კი საწინდარი არის მისი,
 რომ არადროს არ უმტყუნებს რომსა ჩემი სინიდისი.
 ეს გარკვეული გეგმაა, არა პატარა ზომისა,
 ეს სახელმწიფო აზრია. ეგზომ ქებული, რომისა:
 მამა ემსობა შვილისგან, შობილისაგან მშობელი,
 და რომი ჰმეფობს, არ დარჩა ქვეყანა დაუბყრობელი.
 ეხლაც მომანდო მე იმან, ჩემსა შურისა გებასა,
 რაც ამ მხარეში სჭირია მის ძლევის გამაგრებასა.
 ელჩად მოვდივარ, ელჩისა მე მომანიჭეს სახელი,
 უფრო იმიტომ, რომ მპოვეს გადარეული და ხელი,
 კაცი, რომელსაც ისე აქვს გადაბრუნებულ გუნება,
 რომ თვით მამასაც განწირავს. მკლავი არ მოედუნება.
 გასაგებია მიზანი, მაგრამ რას ვიზამ? ეს გული
 სევდით და უიმედობით ისე მაქვს გამწარებული.
 მე ივერია არ მიყვარს, არცა მომხრე ვარ რომისა,
 მაგრამ მიტაცებს სურვილი სომხეთის ტახტზე ჯდომისა.
 პ ი ე რ ო ნ.

მეცა ელჩი ვარ, როგორც თქვენ, მეცა ვარ ამორჩეული,
 მომაქვს სურვილი სომხეთის სწორი და გამორკვეული.

თქვენსა ძმასა მიანიჭეს სომხეთისა ტახტი სრული,
 მამა თქვენი არვის უნდა, არ აქვთ მისი სიყვარული.
 მოვდივარ, რომ წარუდგინო მეფეს ამის მოხსენება.

სულ ტყუილად იგი პცდილობს მოგვახვიოს თავის ნება.
მაგრამ თქვენ კი როგორ პნახავთ? მამის შიში არ გაქვთ განა?
რ ა დ ა მ ი ს ტ.

მე იმას არ ვუნახივარ ჩემი ქორთა სიყრმიდანა.
იმის გულში ბუნების ხმა იმ ზომამდე არის მქრალი,
რომ ვერაფერს დაინახავს ჩემ სახეში მისი თვალი.
კარგი კიდეც, შენსა თვალებს შერჩენია სიმჟრიახე
და აქამდე დავიწყებას არ მიეცი ჩემი სახე.
მეფე მოდის... ჩემო გულო, მშვიდად იყავ! შეიძელი
აიტანო სიღინჯითა ეს შეხვედრა საშინელი.
გულის ღელვა, სევდის ალი, გავინელოთ გაბედულად
და მოვიქცეთ, როგორც ელჩი—სიფრთხილით და დახედულად.

ს ც ე ნ ა II.

ფარსმან, რადამისტ, პიერონ, მიტრან,
პიდასპ.—დარაჯები.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

ერი, მეუფე მეფეთა, ყველას განაგებს რომელი,
ერი, რომლისა სახელით თქვენს წინაშე ვარ მდგომელი,
მიხვედრილია იგი თქვენს იდუმალ მისწრაფებასა,
და თქვენ გიცხადებთ, მეფეო, თავის უმაღლეს ნებასა.
ნაწყენი არის, იცოდეთ, თვით დიდებული წერონი,
მზად არის კიდეც მიიღოს ზომანი შესაფერონი.

რომმა იცის ყველა თქვენი გმირობა და გამარჯვება,
სახელოვან გმირთა შორის თქვენ გეკუთვნის ქება-ქება.
რომის ერსა თვით უნახავს გამარჯვება ბევრჯერ ასი,
განცვიფრებით თქვენ გიყურებს, კარგათ იცის თქვენი ფასი,
მაგრამ თქვენცა კარგად იცით, მის ძლევასა არ აქვს ზომა:
შეიბრალეთ თქვენი თავი, აირიდეთ მისი წყრომა.

სომხეთი, იცით, რომისა თითქმის რომ ქვეშევრდომია.
როცა საკითხი ტახტის პდგა, გარდამწყვეტელი რომია.
მიუხედავად ამისა, კავკასის მთებით მავალი
ფაზისსა უახლოვდება თქვენი მხედრობა მრავალი,

ჯარსა მოუცავს უამრავს მტკვრისა ველი და ბალები, კორდებზე დროშა ჰფრიალებს, სამხედრო ბაირალები.

რომს არ უნდა, მოეწყინა ეს მზადება საომარი, ამისთანა მუქარასა დაჩვეული ის არ არი. რომი შეჰცდა, ვინაიდან ეს უფლება იმას ჰქონდა, თქვენი ძლევის შეჩერება დროზე რომ არ მოაგონდა. ტიგრანსა არ მიეშველა, მიატოვა მან მედია, მაგრამ სომხეთს ვერ დაგიტოვბს!.. ლაპარაკი ზედმეტია. და ამიტომ მე გიცხადებთ, ამას ითხოვს კეისარი: არაქსისა ხეობისკენ არ წასწიოთ თქვენი ჯარი.

ფ ა რ ს მ ა ნ.

თუმცა ჩემთვის სულერთია ეს მუქარა სიქადული, მაინც მიგვიჩნის, რომ გქონიათ ენა ეგზომ გაბედული. როგორ ჰბედავთ, რა პირითა, კორბულონის მეომარო, ჩემს დარბაზში მომახალღოთ ეს ბრძანება სამასხარო? რად ჰგონია ნერონს, როცა დიდების და ბრძოლის შუა რომსაც მგონი დავასწავლე სიფრთხილე და მეტი ჰქუა, როცა მისი ძლევისა წინ თავსა დღემდე არ ვიხრდიდი.— რად ჰგონია—ელჩისადმი რომ მექნება კრძალვა დიდი?

მე დამიბყრია ქვეყნები, ვძლიე მე უძლეველები, ბევრჯერ დაფუხდი გმირულად, ვიფრინე რომაელები, მიმილენწია პართი და მასთან ბევრი სხვა მტერები, თქვენი ქებული რომისთვის დღემდეც ვერ-მონაგერები. ამ ერს მედიდურს ეტლითა, ვით საზეიმოდ სჩვევია, ჩემი სურათი სამასხროთ ჯერე ვერ გაუთრევია, ჩემი ზმალი კი იმასა ბევრჯერ სირცხვილად ეფეთა, ბევრჯერ დამირტყამს და ჯაგრიც ამომიყრია მეფეთა. თქვენ რად მოსულხართ? რა არის მიზანი თქვენი შრომისა? ნუთუ ნერონსა სწადიან გამოცხადება ომისა? ნუ ჰცდებთ: ჩემი ქვეყანა არ არის ისე მდიდარი, რომ ჰქონდეს იმას ბევრი რამ აქედან გასაზიადარი. ჩემი ერთგულნი მზღებელნი, ჩემი დარბაზიც, მგონია, არ ჰბრწყინვენ სამკაულებით, თქვენთვის რა მოსაწონია.

აქ ბუნება არის ძუნწი, უნაყოფო კლდე და მთები, მოსავალი მარტოოდენ რკინაა და მეომრები... მაგრამ სიტყვა შევამოკლოთ: გამოდის, რომ რომსა უნდა

გადამიქრას მე ჩემი გზა, მომაცაროს ქვეა და გუნდა.

მართლა, რაა მიზეზი, თუ ყველაფერი შეუტყვია,

მისი ჯარი რომ არა სჩანს, ჯერე არც კი შეუყრია?

ნუთუ თავის ლეგიონებს უკვე თავი დაანება

და ჰგონია ელჩებითა მომაცუნოს მეტი ვნება?

ცეცხლით უნდა ჯერ აიკლათ ივერია კილით-კიდე,

თუ თქვენ გინდათ ჩემი ჯარით მე სომხეთში არ შევიდე.

რომაელებს არ შეჰშვენის ტრაბახი და უქმი ენა,

როცა მე ხმლით გზას ვიკაფავ, მიმავალსა იქითკენა,

უფრო შორსაც: იქნება, მე სომხეთიცა გადავლახო

და ევფრატის ნაპირებზე კორბულონსა შევეჯახო.

პ ი ე რ ო ნ.

მეფეო! თუნდაც, თანახმად მოთხოვნილების თქვენისა,

რომმა დაგვითმოს არჩევა ჩვენვე მეფისა ჩვენისა,

მეფეო, ნება სომხეთის არ არის საჰაჰმანები:

ნუ გაქვთ იმედი, რომ შედგეს თქვენზე მის არჩევანები.

ჩვენ გვაწუხებენ პართები, რომი ჩვენ გვეპოტინება,

ორივე მხრიდან მოგველის ისევ სისხლისა დინება.

სომხეთსა კი უბედურსა აღვა დიდი გაჰირვება,

არა მეფე, ამ ქვეყანას უფრო მამა ეჰირვება.

ის მშვიდობას მხოლოდ ჰნატრობს, სხვა არ უნდა არაფერი,

ამისთვის კი თქვენ, მეფეო, სულ არა ხართ შესაფერი.

თქვენ ხართ დიდი, თქვენ ხართ გმირი, თაყვანსა გცემთ ჩვენში

ყველა,

მაგრამ თქვენა სახელს ეძებთ, ჩვენ კი ამის არა გვცხელა.

ჩვენ ამისა გვეშინიან... ჩვენა გვინდა მეფე წყნარი,

რომ მორჩილი იყოს რომის და პართების მეგობარი.

და სომხეთი, თუ მას თქვენი დაატყდება მრისხანება,

არ იქნება დაბყრობილი, დანგრეული კი იქნება.

ფ ა რ ს მ ა ნ.

თქვენი სიტყვა, სამიზეზოდ მშვენიერად მონაჩმახი,

არა ჰქუთ, უფრო არის რომის მიერ ნაკარნახი.

ეხლა თქვენი გულისთქმანი ცხადია და გასაჰვრეტი.

თუ აგრეა, კარგი! დეე ომი იყოს გარდამწყვეტი!

მალე გაიგებთ იმასაც, რაც არის გასაგებელი:

მე ვიქნები, თუ რომია თქვენი კანონის მდებელი?

ვერ გასჭრის მოსაზრებაცა თქვენი ყალბი და ცბიერი.
 მართლა, ვისა აქვს უფლება ამ ტახტზე კანონიერი?
 ვინ უნდა იყოს მემკვიდრე ჩემი ძმის, ჩემი შვილისა?
 ვისა აქვს საღმრთო უფლება გარეშე ყოველ ცილისა?
 რ ა დ ა მ ის ტ.

რაო? რაო? განა თქვენვე არ ხართ მათი დამღუპველი?
 მოკლულების უფლებაში მემკვიდრეა განა მკვლელი?
 ფ ა რ ს მ ა ნ.

ეს რა მესმის? ჩემ დარბაზში ჩემივე ლანძღვა და გინება?
 დარაჯებო!

პ ი ე რ ო ნ.

ხელმწიფეო, იქონიეთ მოთმინება.

ფ ა რ ს მ ა ნ.

დაუმაღლეთ იმ სახელსა, რაც ნერონმა მოგანიჭათ,
 უმაგისოდ—ვაი თქვენს დღეს!—არ ჩაგთვლიდი არცა ბიჭად,
 და, თუნდაც რომ მოჰყოლოდა შედეგები ამას დიდი,
 ამ უდიერ ელჩსა ეხლავ ყელში დანას გავუყრიდი.
 ელჩი ხარ, მაგრამ იცოდე კი ნუ გადახვალ ზომასა,
 თორემ ინანებ, უფრთხილდი ჩემი გულისა წყრომასა.
 წა, მოახსენე კორბულონს: რასაც რომ ჰბრძანებს ნერონი,
 ჩვენთვის საშიში არ არი. არცა საბედისწერონი.

ს ც ე ნ ა III.

რ ა დ ა მ ის ტ, პ ი ე რ ო ნ.

პ ი ე რ ო ნ.

ეს რა ჰქენით, ხელმწიფეო? რად გინდოდათ ეს სიმწვავე?
 რ ა დ ა მ ის ტ.

რა უნდა ვქნა? ვერ გავუძელ, თავი ვეღარ შევიკავე.
 არა უშავს, კარგია, რომ ჩემი სიტყვა მას ახელებს.
 მის სიფიცხით ამ საქმეში მე ჩავითრევ რომაელებს.

რომისათვის სასურველი იქნება, თუ ივერია
 მოუსვენარ მამა-ჩემსა განუდგა და აერია.
 მომხრეებსა მე გავიჩენ, აქვე მისი მოსამწყვდევად,
 ვისაც თავის გმირობითა თავი თვისი მოაქვს დევად.
 ფარსმანისა ულლისა ქვეშ ჰკენესის მისი ქვეშევრდომი,
 ბრძოლისაგან მოწყდა ხალხი, მოეწყინა მუდმივ ომი,
 ყველა მისი ურჩი არის, გულში არის მისი მტერი,
 და ჩვენც უნდა შევეცადოთ აუჯანყოთ მთელი ერი.
 მაგრამ იცოდე, მიზნისა ჩვენისა მისახწევლად
 ვერ გავაკეთებთ ვერაფერს ჩემი ძმის მოუწყველად;
 მე ვიცი კიდევ წამალი, მის გულის მოსაგებელი.
 დეე, ჩემთანა ისიცა იყოს პასუხისმგებელი.
 მამა მეფეა უწყალო და მტარვალს ამისთანასა,
 რა სჯობია, თუ მისივე შვილი დაარტყამს დანასა?



მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ხ ა მ ე.

ს ც ე ნ ა პ ი რ ვ ე ლ ი.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

ჩემმა ძმამა მოისურვა საიდუმლოდ ჩემი ნახვა.
ნუთუ მიცნობს? ღმერთო, ნეტა რა ფიქრი აქვს, რა განძრახვა?
სულ ერთია, უნდა ვნახო უსათუოდ.—მე ვგრძნობ, რომა
შურისგებამ ჩემსა გულში საიშედო იწყო კრთომა.
არ მნახავდა, არ გატეხდა არზამ აგრე თავის ვალსა,
რომ მამისგან თვით არ იყოს მიცემული ტანჯვის აღსა.
კარს აღებენ... აი ვხედავ, ის შემოდის... საცოდავი!
მამის მსხვერპლი არ ყოფილა მარტოოდენ ჩემი თავი.

ს ც ე ნ ა II.

რ ა დ ა მ ი ს ტ, ა რ ზ ა მ.

ა რ ზ ა მ.

როგორც ვატყობ, მეფე არის რომზე მეტად გულ-გამწყრალი,
აქედანა მიდის იგი, ელვასა ჰყრის მისი თვალი.
მამაჩემსა კარგად ვიცნობ, ამაყია მეტად იგი,
სიამაყე რომსაცა აქვს, მასთან ძნელად მოსარიგი.
შემიძლია ამ საგანზე, წყენა რომ არ მოგაყენოთ,
სრულის ნდობით თქვენ, ბატონო, ცოტა რამე მოგახსენოთ?
მე გთხოვთ—იმედიც მექნება, რომ ამისრულებთ ამასა:
ერთ მეორეში ნუ გაჰრევს რომი შვილსა და მამასა.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

თუმც მამა-თქვენმა გამხადა მსხვერპლი საშინელ წყენისა,
გქონდეთ იმედი რომის და კვალად ღირსების თქვენისა.
რომი ღირსეულს აფასებს, ეს აგრე იყო მარადის.

ა რ წ ა მ.

ვაი! ღირსება!.. მგონია, გადავაქციე არად ის.

მეშინია, საბუთებიც ხელში მოგცეთ იმოდენა,
რომ ერთიან დავარდვით თქვენი ჩემზე წარმოადგენა.
მართალია, სინანულით იტანჯება ჩემი გული,
დანაშაულს საშინელს ვგრძნობ, ამ ცეცხლით ვარ დადაგული.
რა ღირსება, რის ღირსება, კმლის ყველაფერს ჩემი ცოდო:
მოლაღატე გამოვდივარ, რა სახელიც არ მიწოდო!
მაშინ, როცა უნდა ატყდეს რომთან ომი ზარდამცემი,
როცა ცხადად ემზადება ამ ომისთვის მამა-ჩემი,
არ შემეძლო მე აქ მოსვლა, არ შემეძლო თქვენი ნახვა,
ლაღატია მამისადმი აგრე ვალის გადალახვა.
მე ეს ვიცო... მაგრამ მე დღეს, უფრო მეტის მოწიწებით,
თუნდაც ვიყო დამნაშავე, შებრალებას გეხვეწებით.
მამა ჩემმა მე დამლუპა, მომცა ბევრი მწუხარება,
და იქამდე მიმიყვანა, რომ თქვენ გთხოვოთ დახმარება.

ჩემო ბატონო, არ მინდა მე გამართლება თავისა,
არ მინდა მამა-ჩემზედა ვიყო დამსმენი ავისა;
თუმც მან დამწვა და დამლუპა, გულს ლახვარი მაქვს სობილი,
მაინც მამაა ის ჩემთვის, დიდი და კეთილშობილი.
მართალი არის, იმას აქვს ერთი რამ დასაწუნარი:
შვილებს მტრებისგან ვერ არჩევს, ამის არა აქვს უნარი.
მსხვერპლი მე მარტო არა ვარ: მისგან დაღუპულთაგანი
ერთიც სხვა არის, სიყრმითვე მისი რისხვისა საგანი.
ერთი ძმა მყავდა, ბატონო, ლალი და სახელოვანი,
მოცმე ცნობილი, რომლისთვის ცრემლი მმართებს და გლოვა-
ის დაიღუპა უდროოდ, მოწყდა ის ამ ქვეყანასა, |ნი,—
კაცსა ვერ ჰპოვებთ ცისქვეშე უბედურს იმისთანასა:
მამა თავის შვილს, სავსესა სიცოცხლითა და ჯანითა,
გააფთრებული დაეცა, გული გაუპო დანითა.
იქნება, მეცა მომელის ბედი ამ ყმაწვილ გმირისა,
მამისვე ხელით მოკლულის, უწყალოდ განაწირისა.

მე უფრო ვარ დამნაშავე, მე ტანჯვასაც მეტსა ველი,
მაგრამ დღესა, დღეს, ბატონო, ეს არა მაქვს საზრუნველი.
არა, შიში მე არა მაქვს არც ტანჯვისა, არც სამარის.
მაგრამ ეხლა სხვა ცეცხლი მწვამს, ჩემი თხოვნა სხვა რამ არის.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

რა განძრახვაც რომ არ გქონდეთ, რაც გინდ იყოს ეს ფარსმანი, შეგიძლიათ მე გამანდოთ ყველა თქვენი გულის თქმანი. ჯავრი მომდის მამა-თქვენზე: როცა მესმის მის სახელი, გული ღელვას მიწყებს ხოლმე, სიბრაზისგან მე ვარ ხელი. მე თქვენ დიდად მომეწონეთ, მე თქვენი ვარ, აღვიარებ, და თქვენს სევდას, რაც არ ვიცი, იმასაც კი ვიზიარებ. რომ იცოდეთ, რა ზომამდე მაამეთ და შემეყვარდით, მოსვენებას გულს მისცემდით, წამებულსა ამდენ დარდით.

ბატონიშვილო, მითხარით: გნებავთ ატეხა ომისა? გნებავთ დაიძრას ამისთვის სულ იმპერია რომისა? მერწმუნეთ, მე თქვენ გიყურებთ თანაგრძნობითა ძმურითა, და თქვენთან ერთად მეც მეწვის გული შხამით და შურითა. თუ საჭიროა დაიძრას მხედრობა კობულეონისა, ამასაც ვიზამ, გექნებათ არა სიმცირე ღონისა, მერწმუნეთ, ხორცსა შეისხამს თქვენი სურვილი ყოველი, თუნდაც რომ იყოს სომხეთიც თქვენთვისა დასაბყრობელი.

ა რ ზ ა მ.

რასა ბრძანებთ? ვერ გავიგე. რა რჩევასა მაძლევთ თქვენა? ახ, ბატონო! სულ არ გესმით ჩემი გულის წვა და ტკენა. როგორ? უნდა ვუღალატო მამა-ჩემს და ჩემს მამულსა? რომის ჯარი შევუხსიო ივერიის შუა-გულსა?! ახ, საჭირო თუ ეგ არი—ვუღალატო ჩემსა ერსა—დეე, რომიც ჩემი მხრიდან ნუ მოელის ნურაფერსა. მეც არაფერს მისგან ვითხოვ... ბოროტება არის დიდი და უბრალო სამართალსა მე ამ ფასში არ ვიყიდი.

ვხედავ, ბატონო, ყოფილა აქ დაბრკოლება მრავალი და სხვაგან უნდა ვეძიო რაიმე გამოსავალი. გატაცებული მე ვიყავ რომის დიდების ბრწყენითა, როგორც ღმერთებსა, ყოველთვის მას ვუყურებდი რწმენითა. მეგონა, მან რომ დაგიწყოს მოწყალებითა ყურება, საკმარისია ამისთვის ტანჯვა და უბედურება; ეხლაც მეგონია, ღია მაქვს ჯერე იმედის კარები, რომს ვეხვეწები მიშველოს, ვიწვი და ვემუდარები.

ჩვენ მხევალი აქ გვყავს ერთი, მწველი არის მისი ბედი. თქვენთან იმან გამომგზავნა, შუამავლად გამოვედი.

მხევალია უცხო ვინმე, ცა და ქვეყნით განაწირი,
 ტურფაა და მშვენიერი, მზესა სწუნობს მისი პირი;
 სათნოებაც იმდენი აქვს; ზრდილობაცა ისე სრული,
 რომ დიადი გვარისაგან უნდა იყოს გამოსული.
 შევეცადოთ ამ ამბავმა რომამდე რომ მიაღწიოს,
 იქნებ იმან ამ უბედურს მფარველობა გაუწიოს.
 იგი თვითონ გეაზღვრებათ, ჩუმიად უნდა ნახვა თქვენი,
 შემდეგ თქვენვე დაათვალიყვით... და თქვენ იცით დანარჩენი.
 მეფე ფარსმანს წამოენთო გულში ალი სამწუხარო,
 ჰსურს მომტაცოს ეხლა მე ეს ერთად ერთი შვების წყარო,
 ერთად ერთი, რაც ამ ქვეყნად დამრჩენია სიყვარული,
 ერთად ერთი, რასაც ვერვის ვერ დაუთმობს ჩემი გული.

ბატონო, ნუ გეგონებათ, თუ გეუბნებით ამასა,
 ეხლა მე თვითონ მიწოდდეს იგი მოვტაცო მამასა.
 თუნდაც რომ იმან დამითმოს ეხლა ეს მშვენიერება,
 სულ ერთი არის, ჩემთვისა არა სჩანს ბედნიერება.
 მე მიწადა მხოლოდ წავიდეს შორსა ეს საამუშრება,
 თუნდაც მომესპოს სრულებით მისი ნახვა და ყურება.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

მე აქ ძალა დიდი არ მყავს, ვერაფერსა ვიწამ... ხოლო
 შემიძლია სხვაგან ბინა მივსცე, კაციც გავაყოლო.

ა რ ზ ა მ.

მეც ამას გთხოვთ, სხვას არაფერს... დიდათა ვარ კმაყოფილი.
 წავალ, მგონი ყველაფერი უკვე არის მოწყობილი.

რალაც ძალა იდუმალი გულში იძვრის, არ ვიცი—რად?
 მაინც შიში ნაკლები მაქვს, ამ გაყრასა არ ვთვლი ჭირად.
 ჩამინელდა გულში სევდა, მიმაჩნია იგი არად,
 ალბად კმარა, რომ არწამმა ის თქვენ ზღაპრში ჩაგაბარათ.
 ნეტა მქონდეს შეძლება, რომ თქვენ შეგწიროთ ჩემი დღენი,
 რომ სიკეთე გადვიხადო, სამსახური ამოღენი.
 მაგრამ რა მაქვს მე უბედურს, ქვეყნად რალა მბადია.
 სიკეთისთვის შესაფერი საფასურიც მმართვეს დია.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

მე არა გთხოვთ არაფერსა, ეს მადლობა ჩემთვის კმარა,
 იგი უფრო მეამება, თუმცა გგონიათ თქვენ პატარა.

უნდა ესეც გაიგონათ: ძმა ვარ თქვენი ამ დღიდანა,
 მეცოდებით, რომ მამა გყავთ გულ-უწყალო ამისთანა.

მაგრამ დამშვიდდით, არ ვარგა აგრე გარტეხა გულისა,
 რად უნდა დასთმოთ თქვენი მზე, მნათობი სიყვარულისა?
 მე მომენდევით ორნივე, თქვენთვის კეთილის მდომელსა,
 თავშესაფარსა გიშოვნით, მტკიცეს და მიუდგომელსა.
 მე არ დაგაგდებ. ვერ ვიზამ საქმესა სამარცხვინოსა,
 აქ ანაბარად მეფისა—სისხლი არ დაგადინოსა.
 ბატონიშვილო, ნუ იწყენთ, ჩემი რჩევა კი ეს არი...
 ახ! რომ იცოდეთ, ვინ არის თქვენ წინ მწუხარედ მკვნესარი.
 ა რ ზ ა მ.

რჩევა მომეცით ისეთი, რომ იყოს მისაღებელი,
 რომ დარჩეს ჩვენი ღირსება წმინდა, ხელ-შეუხებელი.
 მეფე ხვალ მიდის სომხეთში, ჯარით იქ მიეშურება,
 უნდა მოვტაცოთ ჩვენ ქალი, ჩავშალოთ უბედურება;
 თორემ წაიყვანს და მერე მშრალზე დაგვტოვებს ყველასა;
 ქალი კი ჰტირის საწყალი, თქვენგან მოელის შევლასა.
 თქვენი ნდობა აქვს, თქვენა ხართ ხსნისა იმედი ყოველის
 და თქვენსა ნახვას საწყალი მოუთმენელად მოელის.
 ეხლა მშვიდობით, ბატონო! ჩემი დასწრება მეტია,
 გიამბოს თვითონ უჩემოდ, რაც მის გულს გადუწყევტია.

ს ც ე ნ ა III.

რ ა დ ა მ ის ტ.

მაშ აგრეა, მამა ჩემო, უსინდისოვ, პარამზადა!
 შენივ სისხლის დასადგრელად შენი ხელი არის მზადა?!
 გეშინოდეს, რომ ამ სისხლმა, რომლისა შენ არ გაქვს რიდი,
 სრულებით არ წაგილეკოს ცხოვრებისა გზა და ხიდი.
 არზამს უყვარს, მოკდებია სიყვარულის ცეცხლი მწველი,
 და ამ სისხლსა შხამსა ურევს ეხლა ძალა დამღეწველი.
 რამოდენიც რომ არ ჰქონდეს შვილსა მამის კრძალვა-რიდი,
 სიყვარულში არ დაუთმობს, გააგიჟებს შუღლი დიდი.

რაც გინდ იყოს სულ-გრძელი და პატიოსან კაცის გული,
 ცოდვის ზღვაში გადაითრევს უიმედო სიყვარული.
 მაგრამ ჩემს ძმას... სულ ტყუილად ვცდილობ ხელში მივცე
 ბოროტებას იგი უფრთხის, ის არ არის ჩემისთანა. [დანა.

ნუთუ ღირსი ხარ, მტარვალო, ეგზომ ერთგული შვილისა?
 შენი სიმკაცრით კვლავ უფრო მოყვარის და მორჩილისა?
 ვერ შევურყიე ვერაფრით მე იმას მოვალეობა,
 უფრო ფაქიზი გული აქვს, უფრო მაღალი ზნეობა.
 ის სავსე არის ღირსებით, მე კარგად ვხედავ ამასა,
 მხოლოდ მე, ჰოი ღმერთებო! მე დავედარე მამასა.
 მაგრამ რა მინდა მე თვითონ? რა მქონდა გადაწყვეტილი?
 მინდოდა გული გამერყვნა მისი წმინდა და კეთილი.
 არა, სჯობს მასვე მივბაძო, ვალაპარაკო ბუნება,
 მის ხმასა მივყვე, მივიღო მისი რჩევა და რწმუნება.
 მაგრამ რას ვამბობ? განა მე, მე ვევეურჩები მამასა?
 ხმა ბუნებისა პირველად უნდა ესმოდეს მამასა.
 მოვალეობა ჩვენ გვადევს, არა, მამილო ქებულო?
 შენთვის კი არაფერია წმინდა და სავალდებულო?
 ვილაც მოდის... ჰა, ჰიერონ!

ს ც ე ნ ა IV.

რ ა დ ა მ ი ს ტ, ჰ ი ე რ ო ნ.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

მეგობარო, ვცადე, კმარა!
 სამწუხაროდ ყოველ ცდამა უნაყოფოდ ჩამიარა.
 პატიოსან არწამ თუმცა იწვის, არის უბედური,
 მაინც მისი პირიდანა არ ამოდის საყვედური.
 მე რას ვიზამ, თუ ტრფობაც კი ვერ ჰმოქმედებს, ვერა, მაზე.
 აჰ, ჰიერონ! როგორ არ მგავს მე მის სულის სილამაზე.
 ივერიის აჯანყების მე იმედი დამეკარგა,
 სომხეთში კი მეფე მიდის, მგონი, კიდევ აიბარგა.

ჩვენც წავიდეთ, დავაჩქაროთ, რომ ჩავუსწრათ იმას წინა, შევასრულოთ საქმე ძნელი, რაც რომ ბედმა დაგვიდგინა. მე მოვდივარ შენთან ერთად, ისმენიას მხოლოდ ველი. იცი, ფარსმან იმას ირთამს? შევეშალოთ იმას ხელი.

პ ი ე რ ო ნ.

როგორ, ბატონო?

რ ა დ ა მ ი ს ტ.

მე ამ ქალს გამოვიყენებ, მგონია. ამბობენ, მისსა წინაპარს რომთან კავშირი ჰქონია. არ მივატოვებ არზამსა, მას არ გავუტეხ ძმობასა, ამიტომ იწვევს ეს ქალი ჩემში დიდ თანაგრძნობასა. მე მინდა ის მოვიტაცო, მით უფრო ვიზამ ამასა, რომ მინდა გული დავუწვა შეუბრალებელ მამასა. ის მეყოლება საწინდრად... მე მას ეხლავე მოველი. არავინ გვნახოს, ეცადე, ზომა მიიღე ყოველი. მშვიდობით! მგონი ის არის... აბა შენ იცი, ძამია. მარტო დაგვტოვე, მოგვეცი ჩვენ ორიოდ წამია.

ს ც ე ნ ა V.

რ ა დ ა მ ი ს ტ, ზ ე ნ ო ბ ე.

ზ ე ნ ო ბ ე.

ბატონო! ნება მომეცით მე, განწირულსა ბედითა, მტარვალისაგან წამებულს სიმწარით ზედი-ზედითა, ამ ტყვეობაში გულ-მოკლულს, მუდამ ცრემლ-შეუშრობელსა, რომსა მივმართო თხოვნითა, ქვეყნიერების მყრობელსა.

ცა, რომელმაც დაუშონა სამართლიან მის კანონებს...

რ ა დ ა მ ი ს ტ.

რასა ვხედავ? უბედურო! ეს რა ხმაა? რას მაგონებს? ღმერთო ჩემო! ეს რა სახემ გამიარა თვალში ელვად?

ზ ე ნ ო ბ ე.

ახ, ბატონო! ჩემმა ნახვამ მგონია თქვენ აგაღელვათ.
 რასა ჰქონავს?

რ ა დ ა მ ი ს ტ.

ვა! ამ ხელით ხანჯალი რომ არ დამეცა...

ზ ე ნ ო ბ ე.

ეს რა მესმის? რა წუხილი? რასა ვხედავ, ღმერთო. მეცა?!
 საზარელი მოვონება მაშფოთებს და მიდებს ალებს.
 სად ვარ? რაა? გული მიმდის, ცეცხლი მწველი მიტრიალებს.
 ახ, ბატონო! ჩემი შიში გამიქარვით წინდაწინა,
 გული ჩემი ველარ იტანს, სისხლი შიგან გამეყინა.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

ახ, ეჭვი არ მაქვს, მომედო ისეთი ალის მწველობა.
 ნუთუ შენ, ხელო, ნახევრად ჩაგიდენია მკვლელობა?!
 ნუთუ შენა ხარ, ზენობე, მსხვერპლი მტარვალის წყეულის,
 საგანო ჩემი ტრფობისა წმინდის და გადარეულის,
 რამაც მე უფრო ხელი მყო, გიყი და დაუნდობარე,
 ნუთუ შენა ხარ, ზენობე, ჩემი წინაშე მდგომარე?

ზ ე ნ ო ბ ე.

ზენობე?! ღმერთო, რა მესმის, ცა და მიწისა მყრობელო?
 ნუთუ შენა ხარ, რადამისტ, ძვირო და დაუნდობელო?

რ ა დ ა მ ი ს ტ.

შესაძლები არის განა, რომ ვერ იცნოთ სახე ჩემი?
 დიად, მე ვარ ის ოხერი, ის ყაჩადი, ის გამცემი,
 ის მეუღლე სისხლის მსმელი... ვაი, რატომ ვერ მიეცა
 დავიწყებას საქმე ჩემი და იმასთან ერთად—მეცა.
 ღმერთო! თუ მე დამიბრუნეთ ეს არსება მშვენიერი,
 რატომ არა დაუბრუნეთ ქმარი მასაც მის-მიერი?
 ზეცამ ნუთუ შემომხედა, კვლავ მალირსა შენი ნახვა—
 მომხიბლავი ოცნებისა ეს სიტურფე, ეს ასახვა.

მაგრამ ვაიმე! მეუღლე ტკბილი და მისანდობელი
 ტყვე არის მამა-ჩემისა, აქ ჰზის ცრემლ-შეუშრობელი.
 ღმერთებო! არა ჰკმაროდა ჩემი ამდღემდე ცვალება,
 რაღად დაგქირდათ ჩემ გულში კვლავ ცეცხლის დატრია-
 ლება?

ოჰ, მსხვერპლო ძვირზე ძვირფასო სასო-წარკვეთილ წამისა,
 მე დაგატეხე ეს ბედი, მე ვარ მიზეზი ამისა.

როგორ? შენა... შენა კტირი...

ზ ე ნ ო ბ ე.

ვაი ჩემ დღეს! ამისთანა

საშინელ წამს შემიძლია არ დავღვარო ცრემლი განა?
 ვიცი, როცა შენ მწყდებოდი, ჩემ გულიდან ჩემი კმარი;
 მხოლოდ მაშინ გამიმეტე, გულსა დანა ასაქმარი;
 რა დაჰბრუნდი, სისარულით გეყრები და შემიყარე,
 გამიცოცხლე გული მკვდარი, ია მორგე, ვარდი ჰყარე.
 სიყვარულსა თავი მოსწონს, მისთვის ვიყავ განაწირი,
 და ცოლი შენ გაპატიებს, შენი გულზე ანატირი.
 არ იფიქრო გაგაგონოს მან რაიმე საყვედური
 და არ იგრძნოს ბედნიერად თავი დღემდე უბედური.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

როგორ? ღმერთო! ოჰ ზენობე! მე ვარ გიყი, მე ვარ მკვლელი,
 მაინც მაქებს და მამართლებს ეს არსება საკვირველი.

არა, სჯობია დამსაჯო, მარიდო გულ-კეთილობა,
 არ მაპატიო არც ერთი შენი სევდა და ჭრილობა,
 დამალვრევინო სისხლიცა, ტანჯვის მომიდვა ალები,
 მომისპო შენი ჭვრეტაცა... მომკალ, ნუ შეგებრალეები...

(მუხლს მიდევრის)

ნუთუ უნდა ამისათვის დაგიკოცნო მუხლი, ხელი? |ველი?
 გახსოვს, შენთვის სისხლის ღვარით როგორ მოვრწყე ტყე და
 უნდა მოვკვდე, უნდა მოჰკვდეს ჩემთან ჩემი სიყვარული.
 პატიება ბოროტების ბოროტება არის სრული.
 დამკარ!.. მაგრამ გახსოვდეს კი, თუმც ვიხმარე შენზე დანა,
 შენი სახე არ გასულა ერთწამს ჩემი გულიდანა.
 დამერწმუნე, სინანულს რომ გამართლებების ჰქონდეს ძალი,
 ჩემ მხარეზე იქნებოდა შენდობა და სამართალი.
 დამერწმუნე, შენ მიყვარდი, შენი ვიყავ, შენთვის მწვარი,
 და სხვას ვერა, ვერ დაეუთმე ჩემი ცეცხლის მომდებარი.

ზ ე ნ ო ბ ე.

ადექ, გეყოფა, მეტია... თუ კი შენდობა სრულია
 ჩემგან,—რად გინდა ბოდიში, რაღა დროს სინანულია?
 ადექ!.. ეს ცისა ნებაა და არა ჩვენი: გულებსა

მან უნდა მისცეს სასჯელი, ეშხითა გადაბმულებსა.
 მითხარ, სად გინდა, რა გინდა, რომელი ქვეყნის მხარენი,
 მზად ვარ გამოგყვე, გაგიყო შეება და სიმწუხარენი.
 ეს ალი სინანულისა, გულზე რომ შემოგხვევია,
 კმოწმობს, რომ შენი სიკეთე შაგბედს ვერ შეუწყევია.
 მეც ბედნიერი ვიქნები, თუ ერთგულების შევნება
 ჩემი ღვაწლით და სიცოცხლით სომხეთს წინ დაეყენება,
 რომ ჩემისაგით მოჩილმა ადიდოს შენი მზეობა
 და აღასრულოს, როგორც მე, მან მისი მოვალეობა.

რ ა დ ა მ ი ს ტ ი.

ჰე ცაო სამართლიანო! შესაძლები არის განა,
 ბოროტებას შეუერთდეს სათნოება ამისთანა?
 ჩემს უღირს ბედს შეეუღლოს კანონითა მისი ბედი,
 რომლის ბადალს მეორესა კვლავ ვერ შეჰქმნის შემოქმედი.
 როგორ? ნუთუ დაგავიწყდა მამა შენი, მის სიკვდილი?
 შემდეგ ჩემი გააფთრება? კვლავ ჩემი ძმის ტრფობა ტკბილი?
 ეს თავადი სასახელო, ეს მიჯნური საამური?
 ნუთუ მაინც არა, არ გძულს შენი ქმარი უბედური?!
 შემძლია დავიჯერო, რომ ჩუმად ჰთვლემს შენი გული
 და არაფრად მიაჩნია არზამისა სიყვარული?
 ახ, რას ვამბობ! ჩემთვის განა შეგრჩებოდა ტრფობის ალი?
 ისიც კარგი, თუ მეუღლის კიდევ გახსოვს წმინდა ვალი.
 ზ ე ნ ო ბ ე.

დაიმშვიდე მკმუნვარება, ნუ გიღელავს ამით გული,
 განმარიდე უღირსს ეჭვებს, თუ გაქვს ჩემი სიყვარული.
 ნუ ივიწყებ, რომ იმ გულზე, რომელმაც შენ გაპატია,
 კვლავ მიტანა ეჭვებისა—მკვლელობა და ღალატი.

რ ა დ ა მ ი ს ტ.

ჩემო ძვირფასო მეუღლე, ნუ იწყენ, გენაცვალები,
 ჩემთვისაც საზიზღარია ჩემი ეჭვისა ალები.
 ღირსი არავარ მე შენი. ვიცი, მაკლია ზრდილობა,
 ნუ იწყენ, რაც გინდ რომ იყოს ჩემგან გულ-განაწილობა.
 მომეც ეს ხელი, ეს გული, ჩემო ზენობე, ლხენითა,
 და სომხეთისკენ გავწიოთ ნეტარებით და რწმენითა.
 კეისარმა მე დამნიშნა მეფედ!.. მოდი, ეხლა მნახე,
 რა სიკეთეს დავამყარებ, რა საქმენი განვიძრახე.

პიერონი აქვე მიცდის, ის ერთგული მოყმე არი,
გაპარვასა ის მოგვიწყობს, გადავლახოთ მთა და ბარი.
მაშინადვე, რა რომ ღამე გაიშლება მთა და ველად,
მოდო, მნახე, აქ მოგიცდი, ან მომიცდი უეჭველად.
მაშ ნახვამდის, გენაცვალე! ავირიდოთ ჩვენი მტერი,
თუ კი ზეცამ ჩვენ შეგვყარა, აღვილია ყველაფერი.
ჰე ღმერთებო! თუ მაჩუქეთ ეს სიტურფე, ეს შეგნება,
ღირსეულად შემიცვალეთ მეცა გული და გონება.



მ ა ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე.

ს ც ე ნ ა პ ი რ ვ ე ლ ი.

ზ ე ნ ო ბ ე, ფ ე ნ ი ს.

ფ ე ნ ი ს.

კმარა, ბატონო! დამწვდიტ! რა მოხდა, გამაგებინეთ.
რად ჰტირით, ცრემლსა დუღილი კვალად რად დააწყებინეთ?
აქამდე სანდო ვიყავი, არა თქვენ-მიერ გმობილი,
თუ მე არ მეტყვით, ვის ეტყვით, ვინ არის თქვენი დობილი?
კეთილშობილი არზამი თუ არის შესაბრალები...
იქნება, აგრე ცრემლითა იმან აგიმსოთ თვალები.
ის ჰტოვებს ივერიასა, კოლხეთში მიეშურება,
რომ იქ იტიროს თავისი სევდა და უბედურება.

ზ ე ნ ო ბ ე.

ჩემსა სევდას ვერ გაგანდობ, ვერ გადმოგცემ იმას ენით.
ნეტა სირცხვილს მოვიბანდე ამ მდულარე ცრემლის დენით.
ფენის, მე არ შემოძლიან, შენ დაგიგდო ეხლა ყური;
რომის ელჩი ჩემთან მოდის, უნდა მნახოს უბედური.
წა, დამტოვე ეხლა მარტო.

ს ც ე ნ ა II.

ზ ე ნ ო ბ ე.

სად მივდივარ? რა იმედით?

ჩემი ვალი მე დამდუბავს, დაღუპულსა შავი ბედით.
ლამეს ველი. რომ გაგიქცე... მაგრამ ვისთან? მასთან განა,
ვინც გასტეხა ფიცი, შვება ამომგლიჯა გულიდანა?
ის არ იყო, რომ გიჟურად აპრილა თავის რკინა
და უბედურ ჩემთ ნათესავთ რისხვა ცისა მოუვლინა?
ახ, რას ვამბობ? როცა ალი სამარცხვინო მეც შემეხო,
რა უმანკო თვითონა ვარ, რომ სხვას მეხი დავატეხო?
როგორ ვიტყვი, რომ რადამისტ არის ვითომ ცოდვის ბუდე,

როცა ცოდვილ აღისაგან გული თვით ვერ შევიზღუდე?
 არა, უნდა გავაჩუმო სამარცხვინო გულის ძგერა,
 მხოლოდ ჩემი ქმრის ხელშია ჩემი დღე და ბედისწერა.
 როგორიც რომ ის არ იყოს, იგი არის ჩემი ქმარი,
 ჩემთვის იგი ყველასა სჯობს. ღმერთებისა ნაჩუქარი.
 ვაი, რა რომ დავინახე ჩემი გიჟი, ჩემი მკვლელი,
 გულში ისევ წამოშენთო ნეტარება უწინდელი.

ახ, რა ყოფილა მეუღლე, რა ძვირი—მეუღლეობა,
 როცა დარაჯად მას უდგა ამაღლებული ზნეობა!
 ვილაც მოდის...

ს ც ე ნ ა III.

ზ ე ნ ო ბ ე. ა რ ზ ა მ.

ა რ ზ ა მ.

რა ბედი მაქვს! კიდევ ვხედავ თქვენსა პირსა.
 მადლობასა ცასა ვუძღვნი, ეს შეხვედრა რომ მაღირსა.

ზ ე ნ ო ბ ე.

მერიდენით, მეფის შვილო! დათვლილია თქვენი დღენი.

ა რ ზ ა მ.

დღე, მამამ დღეს დამიდევს სასიკვდილო განაჩენი.

ახ, როცა თქვენ, ისმენია, ჩემთვისა ხართ დაკარგული.

რას იპოვის, რა სიამეს, ცხოვრებაში ჩემი გული?

ბედით მწვარი არას ვითხოვ, ამისრულდეს მხოლოდ ესა:

აქვე მოგვკდე, აქ აღმოჩნდეს უკანასკნელ აღმოცენესა.

გული ისე მოკლული მაქვს, ცეცხლი ჰღვრის იმისთანა,

რომ ერთ სიტყვაც შესაბრალო კმარა თქვენი პირიდანა,

რომ აქ მოგვკდე სიხარულით... აჰ, ბატონო! თქვენა ჰტირით!

ნუთუ, ტურფავ, თქვენცა იწვით ჩემი გულის წვით დაქირით?

ამის შემდეგ რაღა მინდა? რას დამაკლებს ბედისწერა?

ზ ე ნ ო ბ ე.

ოცნებასა ნუ აჰყვებით, დაიმშვიდეთ გულის ძგერა.

თქვენ ხომ ჩხედავთ, მეფის შვილო, რა დღე მადგა, რა წვალება?
 წადით ეხლა, გეხვეწებით, იქონიეთ შებრალება.

წადით და ნულა მიღვივებთ, ცეცხლი მწვავს გაუქრობელი;
 თქვენ გყავთ მეტოქე, ყველაზე უფრო ხელაღუპრობელი.
 ახ, რომ მოგვისწროს იმან აქ, ჩემი ცოდვისა დიდობით,
 მე აქ სულს დავლეე, იცოდეთ... წადით, თავადო, მშვიდობით!
 თუ ჩემ თხოვნასა ოდესმე თქვენზე გავლენა ჰქონია,
 ნუ გჯერათ ცეცხლი, რომელიც სიყვარულს მოუგონია.
 ა რ ზ ა მ.

ვინ, ვინ არის ის მეტოქე, ჩემთვის ეგზომ საშიშარი?
 მეფის გარდა ამისთანა ნუთუ ვინმე კიდევ არი?
 ზ ე ნ ო ბ ე.

ეს საქმეა საიდუმლო, რად ავხადო იმას ფარდა?
 მეფეც კმარა, რალად გინდათ სხვა მეტოქე, იმის გარდა?
 მეფის შვილო, თავს უშველეთ, თუ გაქვთ ჩემი სიყვარული,
 ხომ ჰხედავთ, რომ თქვენთვის პტირის საცოდავი ჩემი გული?
 არზამ, მეტად გულ-კეთილო, წადით, წადით აქედანა.
 ა რ ზ ა მ.

ვინ მალაატობს? ვის უჭირავს მოშხამული ხელში დანა?
 რა ცეცხლია, ღმერთო ჩემო? რა დღე მადგა, ვაი დედავ,
 სულ მეტოქე და მეტოქე, სიყვარულს კი ვერა ვხედავ.
 მშვენიერო ისმენია! გნებავთ გავეძრე აქედანა?
 ვერსად წავალ, თუნდაც აქვე გამოყარონ ყელში დანა.
 მე ცრემლს ვხედავ, მაგრამ ჩემთვის ის არ არის დანადენი,
 სიქვით, ვინ არის ის მეტოქე, მეცა ტანჯვა ამოდენი.
 როგორ მოხდა, აქ რომ შემხვდით, ამ დარბაზში რომ ხართ კი-
 ნუთუ შველა აღარა მაქვს, მატყუარებს გარდევკიდევ? [დღე]
 ნუთუ უნდა რომაელებს არც სიტყვა აქვთ, არცა რწმენა,
 ამიხსენით ღელვა თქვენი, ამოიდგით ცოტად ენა.
 ბრძანეთ, რიდი ჩემი ნუ გაქვთ, გეხვეწებით ამას, ქალო,
 რაზე პფიქრობთ, რასა პნიშნავს ეს სიჩუმე უმოწყალო?
 ოჰ, ღმერთებო! ნუთუ დღესა ყოვლგნითა ვარ განწირული,
 სიბრალულოც არავის აქვს, არამცა თუ სიყვარული.
 ზ ე ნ ო ბ ე.

კარგი, იყოს, მეფის შვილო! არ მსურს თქვენი გამწარება.
 თქვენზე უფრო მე მპირია ეხლა ჩემი აღსარება.
 მსურს გულწრფელად ვუბასუნო მე დღეს თქვენსა სამსახურსა

და მოვებყრა სიბრალულით თქვენს სიყვარულს უბედურსა.
 ბედმა უკვე გადაწყვიტა, სხვას ეკუთვნის ჩემი ხელი.

ა რ ზ ა მ.

ჰოი ზეცავ!

ზ ე ნ ო ბ ე.

და მეუღლე არის სწორედ რომელი,
 ის, რომელიც თქვენ დღეს ჰნახეთ და რომელსაც ჰთხოვეთ თქ-
 ზემთვის ხელის შეწყობა და დახმარების აღმოჩენა. |ვენა

ა რ ზ ა მ.

ვინც გინდ იყოს, რას დავეძებ? თუნდაც იყოს კეისარი...

ზ ე ნ ო ბ ე.

დაიმშვიდეთ აღშფოთება... დამერწმუნეთ, რომ ის არი,
 ის დესპანი, მოგზავნილი მოციქულად დიდი რომის,
 უფრო ღირსი შებრალეების, ნაკლებ ღირსი თქვენი წყრომის.
 ის ისეთი მეტოქეა, თუმცა თქვენთვის საშინელი,
 რომელიცა თქვენი ბედით არ დარჩება დაუწველი,
 რომელიცა ტკბილ ძაფებით გადაბმული თქვენთან არი...
 რადამისტი, ერთი სიტყვით.

ა რ ზ ა მ.

ჩემი ძმა?!

ზ ე ნ ო ბ ე.

და ჩემი ქმარი.

ა რ ზ ა მ.

თქვენ—ზენობე?!. ჰოი ცაო ჩემი ბედისა კრულისა!
 რატომ აღმინთე ალები ცოდვილი სიყვარულისა?
 ვინ იტყვის ამიერიდან, გული კაცისა რომელი,
 რომ ცოდვისათვის ამ ქვეყნად ის არის მიუწდომელი?
 ქალო! რა მითხარ, რა მიყავ განსაგმირავად გულისა?
 ნუთუ ეს გქონდა საჩუქრად უნახეს სიყვარულისა?

ზ ე ნ ო ბ ე.

მე გეურჩეთ, მეფის შვილო, სანამდე კი შევიძელი.
 რა გაგიტყდით, აწ თქვენგანაც ნამუხისა დაცვას ველი.
 კმარა ჩემი სახელიცა, რომ თქვენ იგრძნოთ თქვენი ვალი:
 ხვაშიადი გაგიცხადეთ, უნდა ჩაჰქრეს ტრფობის ალი.
 ვერ ავიხდი ნამუხს, თუნდაც ქვესკნელს ვიყო ჩასანთქმარი.
 მაგრამ წადით, მეფის შვილო, წადით... მოდის ჩემი ქმარი.

ს ც ე ნ ა IV.

ზენობე, რადამისტ, არზამ, პიერონ.

რადამისტ.

(იქით)

რასა ვხედავ? აქ—ჩემი ძმა? (ჰიერონს) წადი, გარედ მომიცადე. ჩემი გული ძლივს-ღა იძვრის, დაეხვია ეჭვის ბაღე.

(ზენობეს)

მშვენიერო! სულ მხად არის, ღამეც ზეწარს გაშლის მალე და ჩრდილითა შეიცვლება კამარხსა სიბრწყინვალე.

ზენობე.

ბატონო! მე თავი ჩემი თქვენსა ზრუნვას ჩავაბარე, აქ დარჩენა მე არ მინდა, წამიყვანეთ თქვენთან ბარე. ბატონი და ბრძანებელი თქვენ ხართ, წავალ იქითკენა, სადაც ზეცა მოისურვებს, რომ წავიდეთ მე და თქვენა. მე მზადა ვარ.

რადამისტ.

(იქით) აჰ! ცბიერო!..

(არზამს) თავადო! თქვენ აქ ხართ კიდევ?

მე მეგონა წასული ხართ, კოლხეთისა ჰნახეთ კიდევ. მე კარგად ვიცნობ მამა-თქვენს, უფრთხილდით მისა წყრომასა. მიკვირს, რატომ არ ჰღებულობთ თქვენი თავდაცვის ზომასა. აქა ხართ, ვერც კი ჰშორდებით მშვენიერ ისმენიასა, ლახვარს მოიმკით თქვენ ამით, არა ვარდსა და იასა. მაგრამ ვის ახსოვს შიში რამ, ეინ ეძებს თავის შველასა? ასეთ საამო წამებით თავბრუ ესხმება ყველასა.

არზამ.

როცა მიგაქვს გრძნობა ნაწი ვალისათვის შესაწირად, მაშინ გულსა არ აქვს შიში არაფრისა ქვეყნის პირად. და ეს წამი, რომლის გამო გამომკარით ეხლა ბრწყალი. ძვირად უღირს გულს, რომელსაც შეჰხებია ტრფობის აღი. კარგად ვხედავ, ჩემი გული ეხლა უნდა გადგეს განზე, რაც გინდ იყოს, თქვენმა ქცევამ გამაფრთხილა ამ საგანზე.

მაგრამ სანამ გაგიყრებით, გთხოვთ დამიგდოთ მეცა ყური, ნება დამრთეთ გაგაგონოთ ცოტაოდენ საყვედური.

რას დავაბრალე მე თქვენი სიტყვა შეურაცხყოფელი? რას მივაწერო მოქცევა მე თქვენი დასაგმობელი?

დღესვე არ იყო? სხვაგვარად თქვენ მექცეოდით, მგონია, თქვენი პირიდან მე მტრული სიტყვა არ გამიგონია.

ბატონო! თქვენ არ ბრძანდებით იმა მეტოქეთაგანი, რომ შემაშინოთ, გამიხდეთ მძულვარებისა საგანი.

სხვა არის, თქვენა კი არა, ჩემი სულისა მხდომელი, ჩემი და ჩემი იმედის მწველი და დამამხოველი.

ჩემი სიტყვა თქვენ გაოცებთ? დროა გითხრათ ყველაფერი. ბუნების ხმა უკვე ჰყვირის, გულში ველარ დანაქერი.

აჰ, ბატონო, ნეტავ თქვენცა იგრძნოთ ცეცხლი ამოდენა და ბუნებამ თქვენს გულშიდაც ამოიღვას აგრე ენა.

ბედმა მაინც ვერ წამართვა საამური ეს შემთხვევა, შემძლია ჩემი ძმისა გაცნობა და შემოხვევა.

ნუ გაუბრბით ჩემსა ხელებს, დამანახეთ თქვენი პირი, რატომ უნდა აამღვრიოთ სიზარული ეგზომ ძვირი?

მოდით ჩემთან, მომეხვეით პირ-მღიმარე, შუბლ-გაშლილი; ნუ მიმატებთ ჭირზე ჭირსა, ნუ ხართ ეგრე დაღვრემილი.

მართალია, წამომენთო სიყვარულის მწველი ვნება, მაგრამ განა მე ვიცოდი, თუ ვინ იყო ეს შევნება?

რ ა დ ა მ ი ს ტ.

ოჰ ღმერთებო! ეს რა მესმის? ეს რას ჰნიშნავს? რას ჰგავს ჩემი ბედის საიდუმლო გაუცია ზნობესა.

საიდუმლო თავის თავად ისე მნიშვნელოვანია, რომ ამაზე ლაპარაკი აქ ზედ-მეტად მიმაჩნია.

ფასი იცით: რაც რომ გითხრეს საიდუმლოდ იყო თქმული, და მჯერა, რომ მოღალატე არ იქნება თქვენი გული.

მაინც ჩემთვის საწყენია აგრე სიტყვის გამოტანა, საწყენია, რომ გაგანდეს საიდუმლო ამისთანა.

როგორ? ჩემდა უკითხავად ვისა ჰქონდა ამის ნება? თქვენთვის მაინც მეტი იყო ამ ამბისა გამქლავება.

რომ მდომოდა, თვით გეტყოდით, არა მქონდა განა ძალა, თქვენ-წინაშე მეგობრულად ყველაფერი გამეშალა.

ვინც რომ გამცა ამ ნაირად—აქ არ არის აზრი ორი—

ის გამოდის დამნაშავე, მოლაღატის თანასწორი.
 მე თქვენ გიცნობთ, მართალია, პატიოსან თქვენ გაქვთ გული.
 მაგრამ მაინც მე ექვების ბურუსში ვარ გახვეული.
 ა რ წ ა მ.

როგორ ექვის ბურუსში ხართ? სიგიჟეა ერთობ ესა.
 ნუთუ ექვით ამისთანით შეეხებით ზენობესა?
 თქვენ ჰბედავთ შეურაცხყოფას...
 ზ ე ნ ო ბ ე.

დღე, მიუშვით, თავადო!

მის გულის უღირს ექვებსა რა ფასი უნდა დავადო.
 ჩემს მეუღლესა არ იცნობთ, არ იცით მისი გუნება,
 რა სენით შებყრობილია მისი ამაყი ბუნება.
 თუ ჩემს ნამუსსა ეხები, არ მოგწონს ჩემი ზრდილობა,
 რა ბრალსა მადებს ნეტავი მე შენი გულკეთილობა?
 სიყვარულს შენი ძმისასა? ახ, შე ველურო გულისა,
 განა არ მქონდა უფლება შევების და სიყვარულისა?
 განა ხმა შენი სიკვდილის მე არ მაძლევდა ნებასა,
 რომ მიეყოლოდი მე ჩემს გულს და ჩემსა გემოვნებასა?
 ანდა რა არის, რას ჰნიშნავს ერთი დღით დაქორწინება?
 დაქორწილდით და გავშორდით, აგრე ზეცამა ინება.
 ნუთუ, როგორცა უფლებას, შენ ამ დღეს დაემყარები
 და ამ უფლებას ვერ წააშლის ჩემი სისხლისა ღვარები?
 მოიგონე ჩემი სახლი, ბედი მისი შემაზარი,
 მოიგონე სისხლის ფონი, შენი ხელით მონადვარი,
 და მერე სთქვი: საყვედური რაზე უნდა დაამყარო,
 თუ ერთგული არ ვარ შენი, სიყვარულის გაშრა წყარო?
 მართალია, დამიღონა შენი ძმისა ტანჯვამ გული,
 მას გავანდე სვაშიადი, გავუმედავენე დაფარული,
 მაგრამ მე კი არ მეგონა, რომ ეს ცოდვა იყო დიდი.
 აქაც მხოლოდ შენს სახელსა სათაყვანო საგნად ვხდიდი.
 მე მინდოდა იმედებსა არ წაეღო გული მისი,
 აღმოეფხვრა სიყვარული, ჩემთვის არა-საკადრისი.
 მაგრამ რადგანც შენ თვითონა წაუღიხარ ექვის ალებს,
 გაიცანი ჩემი გულიც, კნახე შიგ რა მიტრიალებს.
 ერთი სიტყვით, გულს გაგიშლი, მომიხრია შემდეგ ქელი,
 ბრძანებელი შენ ხარ მარტო, გადაწყვიტე ჩემი ბედი.

შენი ძმა მე მომეწონა. ეს არა მაქვს დასამალი,
 არ მსურს თავის გამართლება, თუ მიმიძღვის აქ რამ ბრალი,
 მაგრამ ამას ეს თავადი გაიგებდა დღესაც ვერა,
 ცოტათი რომ შენ გქონოდა ზრდილობა და თავდაქერა.
 (აზნაშაძე)

თქვენ, თავადო, ამის შემდეგ ვერაფერსა გეტყვით, ვერა.
 მიხედვით, თუ როგორია ამ საწყალი გულის ძგერა.
 არ იფიქროთ შეეპაროს იმას სიბოლო უცხო სხივის:
 ჩემი ქმარი ცოცხალია, მაშ სხვა ალი იქ არ ჰქვია.
 გულსა ნუ იტყენთ დღეიდან სიყვარულისა ზრახვებით,
 განსაკუთრებით შორს ჩემგან, ახლო ნუ დამენახებით.
 (დადიშისძე)

შენ კი, რა რომ ღამე ბნელი გაიშლება მთა და ველად,
 მოვალ თავი ჩაგაბარო უსიტყვოდ და უდარდელად.
 ვიცი, შენს გულს ექვიანსა ვერ მოვიგებ ვერასოდეს,
 მაგრამ ცოლსა ნამუსიანს ქმრის არ უნდა ეშინოდეს.
 (გაღის)

რ ა დ ა მ ი ს ტ.

რა გიყი ვარ, რა ოხერი, რა ეჭვების გადამყოლი!
 ძმასა წყენა მივაყენე, გავამწარე ჩემი ცოლი.
 ძმავე, მშვიდობით! მე შეცდომა უსაზომოდ მარცხვენს ესა,
 წავალ ისევ მუხლს მოვუყრი ჩემ საცოდავ ზენობესა.

ს ც ე ნ ა V.

ა რ ზ ა მ.

ჰოი ძვირფასო ზენობე, მფლობელო ჩემი გულისა.
 მაშ სამუდამოდ მშორდები, მე, მსხვერპლს ბედისა კრულისა.
 ტრფობავ, უწყალო ტრფობაო, რატომ გამიქრე მხნეობა,
 რად დამიყენე ძმასა ძმის გული და მეტოქეობა?!

ახ, გავიქცე აქედანა... ღმერთო! მოსვლა მიტრანისა...

ს ც ე ნ ა VI.

ა რ ზ ა მ, მი ტ რ ა ნ, დარაჯები.

მი ტ რ ა ნ.

დიდად ვწუხვარ, მეფის შვილო! ბრძანებაა ფარსმანისა.
 ვეცადე და ვერ შევშალე სამწუხაროდ მისი წყრომა.
 ა რ ზ ა მ.

მერე?

მი ტ რ ა ნ.

ბრძანა, რომ მიმეღო თქვენ შესახებ მკაცრი ზომა.
 რა ვქნა?

ა რ ზ ა მ.

მესმის, მაგრამ მაინც რა არისო ჩემი ბრალი?

მი ტ რ ა ნ.

მე არ ვიცი თქვენი საქმე, მტყუანი ხართ თუ მართალი.
 ვშიშობ, დღე არ შეგიწყვიტოს... მეფე არის ბრაზ-მოსული,
 საშინელი მრისხანებით გაგვიხეტქა ყველას გული.
 იგი ჰლელავს, იმუქრება, აღმური სდის იმისთანა,
 გიხსენიებთ თქვენ და ილჩსა, ჩამოსულსა რომიდანა,
 ბრალსა გადებთ, რომ გქონიათ საიდუმლო საუბარი.
 ა რ ზ ა მ.

კარგი, მესმის, ჩემო მიტრან! კმარა ისიც, რაც მითხარი.
 კოი ბედო! შენს ხელში ვარ, გაძლეე ჩემსა სიცოცხლესა,
 ოღონდ ტანჯვა ააცლინე ჩემ ძმასა და ზენობესა.



მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ზ უ თ ე .

ს ც ე ნ ა პ ი რ ვ ე ლ ი .

პიდასპ. ფარსმან. დარაჯები.

ფ ა რ ს მ ა ნ .

პიდასპ! ნუთუ მართალია, რომ უღირსი ჩემი შვილი, არზამ, ჩემი მტრებთან არი, მათგან არი შეჩენილი? ნუთუ დღემდე ეგზომ წყნარი, ეგზომ მორჩი შვილი ჩემი, ეგზომ ღირსი სიყვარულის, — ჯაშუშია და გამცემი?! ნუთუ რომსა შეურიგდა, მისი მტრობის არ სწვამს ალი, დაავიწყდა ამ ზომამდე სამშობლო და წმინდა ვალი? მოღალატევი არ ჰქმაროდა, რომ მირევი ისმენიას? ეხლა გინდა დანაც ჩაჰკრა მამა-შენს და ივერიას? დიდებაც და სიყვარულიც, ორივე ერთად მომტაცო და... შენმა ძმამ კი უბედურმა ამოდენი რა შემცოდა?... რომო! ტყვილად მისისინებ ამ ჰაბუკსა ჰკუა-თხელსა, ჩემს განძრახვას ვერ ამირევ, ვერ შემიშლი ამით ხელსა, ხელს შემიშლის დამარცხება ან სიკვდილი, ხოლო მტერი, ერთით მეტი ან ნაკლები, ჩემთვის რაა? არაფერი. მხოლოდ მსხვერპლი ახალია, რომ შევწირო ისიც კიდევ იმ სიძულვილს, ჰოი რომო, რაც შენ გულში წამიკიდე. ისიც კმარა, თუ ჩემ შვილმა გაგიწყვდინა ოდნად ხელი, სისხლით უნდა ვაზღვევინო, ჩემთვის არის რომაელი. რასა ამბობს პიერონი? მოახერხე ჩაგონება? იცის, ჩემგან რა მოელის, რა სახელი, რა ქონება, თუ სომხეთში მხარს დაუჭერს საქმეს, რაც მე განვიძრახე? პ ი დ ა ს პ .

მე სიამე მის სახეზე ვერაფერი დავინახე.

გადავეცი თქვენი აღთქმა და თუმც ცდა არ დავაკელი, პიერონის გული, მეფე, დამხვდა ყრუ და შეუდრკელი. იქნება, ჰსურს თავის ვალი მართლა წმინდათ მოიხადოს, იქნება, ჰსურს თავის ძალა მეტ ფასებში გაინაღდოს;

ვიცი, ძალა მას დიდი აქვს, გავლენაცა არა მცირე,
მაგრამ ვერა, არ წამომყვა, საქმე ველარ დავიჭირე.
ფ ა რ ს მ ა ნ.

მაშ არა ჰღირს ლაპარაკიც... რა მშვიდობა? რისი ზავი?
დეე, თუნდაც სამარცხვინოდ დაიღუპოს შენი თავი,
წადი, ფარსმან! შეეხეთქე, შეარყიე თვით რომი!.. წა!
მის მედიდურ ძალისაგან იხსენ მთელი დედა-მიწა!
ოჰ, როგორ მიძულს მე ეს რომი! ბრაზი მომდის საშინელი,
არც ვიცი რად, როცა ელჩი მაგონდება რომაელი.
მის დანახვამ ჩემსა გულში შეიტანა საწამლავი.
ახ, მან არზამ გადიბირა, იმან გარყვნა საცოდავი.
ორივ ერთ დღეს ჩამოვიდნენ, დაიჭირეს თადარიგი...
მოლაღატე... ვიცი, ვიცი... აქ მომგვარეთ ეხლავ იგი,
აგერ მოდის ისიც.

ს ც ე ნ ა II.

არზამ, ფარსმან, ჰიდასპ, მიტრან,
დარაჯები.

ფ ა რ ს მ ა ნ.

შვილო! უმაღლო და უნდობელო...
რასა ვამბობ? იქნებ კიდევ გულსა შიგან მამის მკვლელო!
ნერონისა ყმა და მონავ! რა გაქვს გულში, რა განძრახვა?..
მომიყვანეთ რომის ელჩიც, აქვე მინდა მისი წახვა.
მოლაღატე, მის დასწრებით, მის წინ მინდა გამოგტეხო.
ენახოთ, პასუხს რაღას გამცემ, სინიდიის რად დაგემზო?
თვალსა როგორ შეაჩერებ ამ მოწმესა, ენახავ მალე,
ვინც მომიწყო შეთქმულება, რომელიცა მე ჩავშალე.
შემდეგ ენახოთ შენი ელჩიც: რომ მოგუჟერ მარწუნსა ყე,
ენახოთ მაშინ, თუ შერჩება მის ბრიყვული სიამაყე?
ეხლა შენი ერთგულებით არა მოგაქვს, მგონი, თავი?
ა რ ზ ა მ.

მე ორგული ჩემი მეფის არასოდეს არ ვიყავი.

ფ ა რ ს მ ა ნ.

შე უღირსო! შე ჯაშუშო! ამისა რომ მომცე რწმენა,
 საქირთა დამავიწყო ამ ლალატის აღმოჩენა.
 როცა მე მწვამს რომისადმი შხამი, გულში ნაგუბარი,
 რად მომეცით მე, ღმერთებო, შვილი—რომის მეგობარი!
 ა რ წ ა მ.

სამარცხენო საყვედური, რომლითაც მე მწამებთ ცილსა,
 ველარ გახდის, ხელმწიფეო, დამნაშავედ თქვენსა შვილსა.
 ან რად გინდათ აგრე ჩემი შერცხვენა და შეგინება?
 თუ ღირსი ვარ, თქვენს ხელშია სასიკვდილო განჩინება.
 არ იფიქროთ მე სიკვდილმა შიშით ცრემლი დამადინოს,
 ნურც მოვლით შებრალების ჩემგან ხვეწნას სამარცხენოს.
 მართლა, ვისაც მხოლოდ ჩემი ტანჯვა უნდა და წვალება,
 რაღა უნდა ჰქონდეს იმას მეტოქისა შებრალება?
 ვიცი, თქვენთვის მცირე ეჭვიც, მართალი თუ მონაპოვრი,
 დაშაგების საბუთია, სინამდვილის თანასწორი.
 თუ საეჭვო არის ვინმე, უკვე არის განწირული,
 მოწყალება თქვენ არ იცით, სწორედ ჭეაა თქვენი გული.
 თავის დაცვა ძნელი არის ეჭვისა და შურის წინა.
 განა ვინმემ ან როდისმე სიტყვა რამე მომისმინა?

ფ ა რ ს მ ა ნ.

რა სიტყვა გაქვს? აბა ჰბრძანე, მე მოსმენა მინდა მისი.
 ა რ წ ა მ.

ის სიტყვა მაქვს, რასაც ჩემზე გეტყვის ჩემი სინიდისი.
 ეს საეჭვო თქვენი შვილი, აგრე მტრულად რომ გებყრობათ,
 განა თქვენთან მოვიდოდა ივერიის დასამხობად?
 ფ ა რ ს მ ა ნ.

მაშა რითი აიხსნება საიდუმლო საუბარი,
 თუ ლალატსა არ აპირებ, თუ განძრახვა ეგ არ არი?
 როდესაც მე რომს ვუცხადებ მარადიულ სიმძულვარეს.
 იმის ელჩსა შენ ჰნახულობ... რათა? რისთვის? ეს მითხარ, ეს!
 თუ—ვით შვილი, მამისათვის გულნატკენი იყავ შენა
 და სისხლითა მოინდომე ამოგელო მამის წყენა?
 მტერს რომ ჰნახავ, აშკარაა, თუ ტვინითა არ ხარ მჩატე,
 ანუ ჩემი დამცველი ხარ, ან ხარ ჩემი მოლაღალტე.
 ამ ორიდან—ერთი, სხვაფერივ მე არ მესმის ქცევა შენი

და მეც უნდა ამ დასკვნაზე დავამყარო განაჩენი.
გამიშუქე ეს საკითხი, მე ყურს გიგდებ... დაიწყე და!
ა რ ზ ა მ.

მე სათქმელი არა მაქვს რა, ხელმწიფეო, ამაზედა.
მიღებული არსად არის საიდუმლოს გამქლავნება.
სალმრთო მადევს ამის ვალი, ლაპარაკის არ მაქვს ნება.

ს ც ე ნ ა III.

ფარსმან, არზამ, მიტრან, ჰიდასკ.
დარაჯები.

ჰიდასკ.

რომის ელჩი და სომხეთის... ხელმწიფეო, ესენია...

ფარსმან.

რა—ესენი?

ჰიდასკ.

სასახლიდან მოიტაცეს ისმენია.

ფარსმან.

ლმერთო დიდო! ეს რა მესმის?.. მოლაღატევე. ეს ხომ კმარა?
გაფანტულ ჯარს დაუძახეთ, წამოსწიეთ აქედ ჩქარა.
გასწით ეხლავ... თქვენცა უნდა წამოხვიდეთ: მზად იყავით.
(აღსრამს)

აჰ, ჯაბანო! მე შენ ამას გადამიხდი შენი ტყავით.

ჰიდასკ.

მაშინადვე ჩვენ შევეყარეთ სხვადასხვა გზით კარგი ძალა
და მხედრები დავადევნეთ რომაელებს კვალ-და-კვალა.

ფარსმან.

რომო! რად არ შემიძლია დაგანახო ჩემი წყრომა,
და ამათი ნელ-ნელ ტანჯვა, ნელ-ნელ სულის ამოხდომა.
(უნდა გავიდეს)

ა რ ზ ა მ.

ვერ მოგეშვებით, თუნდაც რომ ვიდგე სამარის კიდესა, ყური დამიგდეთ. გიამბობთ, ავხდი ყველაფერს რიდესა. ის რომაელი არ არის, ვინც რომაელი გგონიათ, ინანებთ, თუ მის გულისთვის ლახვარი შეგიწონიათ. სახელ-განთქმული გვარისა ის არის ჩამომავალი, ამ დარბაზშიდაც მის სახელს ჰყავს მოთაყვანე მრავალი. მწარედ იტირებთ მის სიკვდილს, ანდა რა გასახარია? მომტაცებელი, იცოდეთ, ისმენიასი ქმარია.

ფ ა რ ს მ ა ნ.

ჰო, განაგრძე, არამზადავ, დაამთავრე სიტყვა მხდალი, ნუ გგონია ამ ხრიკებით ამირიო ზნა და კვალი.

ა რ ზ ა მ.

ახ, მომეცით ნება მაინც თან გამოგყვე თქვენი მონა. იმ ქალს ხელად აქ მოგიყვანთ, ჩაგაბარებთ მე თვითონა. ფ ა რ ს მ ა ნ.

შორსა დადევ, მოლალატივე! ჩაიწყვიტე ეს ხმა, კმარა.
(დარაჯების ერთ ნაწილს)

დაიპირეთ, მიტრან, ეგა!.. თქვენ კი აბა, მოდით ჩქარა.

ს ც ე ნ ა IV.

მიტრან, ა რ ზ ა მ.—დარაჯები.

ა რ ზ ა მ.

ღმერთნო! ამ გადარეულსა ნუთუ თქვენ მისცემთ ნებასა, რომ შეიწიროს, უმსხვერპლოს იგი თვის მრისხანებასა? ეს რა ბედია საზარი, რა შავი დღისა ბრუნება, ტრფობა ცრემლითა აიშნო, საშინელებით ბუნება. ახ, რად არ ეუთხარ! იქნება, შვილის სახელის ხსენება... მაგრამ ეჰ, განა შემეძლო ეხლა მის გამოყონება? მის გულსა შეუბრალებელს იგი ვერ მოარბილებდა, უფრო არევედა არეულს, უფრო გულს გაუწბილებდა.

ახ, რას ვჩივი მე საწყალი, ნეტა რასა მივედები,
 ჩემს ყოფაში რა მაქვს კიდევ, რალა დამრჩა იმედები?
 მოვკდე, ოღონდ ამ სიკვდილით შველა მივცე ამ ორ პირსა,
 დაღუპულნი ამ მხარეში გამოვგლიჯო გასაჰირსა.

ძმაო! თუ შენ მამა-ჩემმა არ გაგირყვნა სრულებ გული,
 თუ უბედურ შეილისადმი შეგრჩა კიდევ სიბრალული,
 გეხვეწები, შენს გარეშე ხსნას და შველას არსით ველი,
 მაგრამ ჩემთვის კი არ მინდა მეგობრული შენი ხელი.

ნუ გეშინია!.. მერწმუნე: როცა შენ გეცოდინება
 თუ რა სისხლია ის სისხლი, რომლის რომ უნდათ დინება,
 მსხვერპლად მიიტან ყველაფერს, თავსაც შესწირავ ღმერთთა:
 წამომყე, ეგებ ვუშველო დახმარებითა შენითა.

უიარაღო, უმწეო, საშიშარი ვარ განა მე?
 გულს უღმობელსა ნუ აფრთხოვ, სიბრალულიცა ანამე.
 ბევრსა არაფერს არა გთხოვ, მხოლოდ წყალობას ამასა:
 გამიძღე წინა, წამოდი, მივყვეთ კვალდაკვალ მამასა.

მ ი ტ რ ა ნ.

მეტად მომწონს თქვენი გული, თქვენი კეთილშობილება,
 მაგრამ ყმა ვარ მამა-თქვენის, მისი მმართვებს მორჩილება.
 და ამიტომ არ იფიქროთ დამავიწყოთ ჩემი ვალი.

ა რ ზ ა მ.

რა უნდა ექნა, ჩემ ვედრებას თუ არა აქვს გასაღალი.
 მაგრამ ვაი! ავერ მოდის მამა-ჩემიც... ჰოი ღმერთო!
 რა სისხლისგან გაგვაჩინე? რა შავბედი ზედ დაგვერთო?

(ოქით)

ახ, ჩემი ძმა კი არა სჩანს!

ს ც ე ნ ა V.

ფარსმან, არზამ, მიტრან, ჰიდასპ.
 დარაჯები.

ა რ ზ ა მ.

რა ამბავი მოჰხდა კიდევ?

ფარსმან.

დავანთხიე მისი სისხლი, ეხლა გული დავიმშვიდე.

სასახლისა გასავალში იმ ვერაგსა ჩავუსწარი,
 ლომსა ჰგავდა სიმაძაქით, გაჰირვებით განამწარი;
 ჩემს დარაჯებს ჩარეოდა, რაზმი დამხვდა ამომწყდარი,
 გულადები უკუ-ჰყარა, ყველას დასცა შიშის ხარი.
 ორჯერ ენახე ის ვერაგი, მოდიოდა წინ მამაცად,
 ორჯერ წინა შემეხეთქა ისმენიას მოსატაცად.
 ეს არსება მშვენიერი უნდოდა რომ ეგდო ხელში
 და ჩაიგდო თვითონ თავი სასიკვდილო განსაცდელში.
 ბოლოს მეც ვერ მოვითმინე ეს მხნეობა გასაშტერი,
 გავეცილე, მის რაზმებში გამწარებით შევიჭერი.
 შეეცვალა ყველას ფერი, დაელრიჯათ პირი-ბაგე,
 მეც ვეხეთქე და მის გული ხანჯლის წვერზე წამოვაგე.
 წადი, ჰნახე—ისმენიას ხელში ჰკვდება უბედური—
 და თანაბრად გაიყავით ლალატობის საფასური.

ა რ ზ ა მ.

ხელმწიფეო, რასა ჰბრძანებთ? ნუთუ მოჰკვდა საცოდავი?
 ამის შემდეგ მეც მომკალით, შეიწირეთ ჩემი თავი.
 (იკით)

ოჰ ღმერთებო! მე ძმა ჩემი დამიბრუნეთ მისთვის განა,
 რომ მენახა მისი გვამი თავ-მოჭრილი მამისგანა?
 მიტრან, ხელი... გული მიმდის.

ფ ა რ ს მ ა ნ.

რისგან არი, რომ მის გული

ამ ვერაგი მტრისა მოკვლით ეგზომ არის დადაგული?
 რომელი, რომელსაც მე დავადინე სისხლის ღვარი,
 მის სიტყვას თუ დავუჯერებთ, ისმენიას იყო ქმარი.
 არზამი კი, მოტრფიალე ამ ტურფა და ნაზი პირის,
 მის მეტოქე როცა მოჰკვდა, მაზე სწუხს და მაზე ჰტირის.
 რატომ არის ეს სიკვდილი მისთვის აგრე დასატირი?
 ვერ მივმხდარვარ, საიდუმლო ჩემთვის ჰრჩება გასაკვირი.

რა მემართება მე თვითონ? აქამდე რისხვით მქუხნარე,
 ეხლა უნებლიე მეც ვხდები სევდიანი და მწუხნარე.
 ნეტა რა ჯადომ მოჰხიბლა სიფიცხე ჩემი გულისა,
 რამ გაიკაფა მაში გზა სევდის და სიბრალულისა?
 რა ხმაა, გულში რომ ჰკვნესის, გრძნობა რომ მომირბილოსა,
 და თვით ჩემს ხმასა რა აძლევს ასე სევდიან კილოსა?

რატომ ვარ აგრე შემკრთალი, რა ცოდვა ჩამიდენია?
 ნუთუ არჩევა მსხვერპლისა სწორედ ვერ მომიხდენია?
 თუ სისხლი რომაელების ისე ძვირფასი რამ არის,
 რომ მას ვერ დაჰღვრის ვერაფერ, განურისხებლად კამარის:
 ჩემ სიცოცხლეში მე ბევრი დამიხოცია გმირები,
 მაგრამ არადროს არ ვიყავ აგრე გულ-ანატირები.
 ეხლა კი როცა დავსაჯე ჩემი შეურაცხყოფელი,
 რად მიწუხს გული, რადა მაქვს თვალი ცრემლითა სოველი?

რისგან არი ჩემი ღელვა, რა მედება გულსა ჭირად?
 ეს სიკვდილი მე მაშინებს, მე მაშფოთებს, არ ვიცი—რად.
 როდესაც რომ დავინახე ჩემი მტერი განგმირული,
 ტანში ძრწოლამ გამიარა, გადაბრუნდა ჩემი გული.
 მომეჩვენა — თითქო შესდგა ის მებრძოლი უებარი,
 უქვევლი დაღუპვის წინ უშიში და უგრძნობარი,
 ჩემი სისხლი არ დაჰღვარა, როდესაც მე მისას ვღვრიდი,
 თავი უცებ შეიკავა, ჩემი ჰქონდა კრძალვა-რიდი.
 მახსოვს სიტყვა არზამისა, ამას წინად მოგვარ ყური.
 გამიქარვეთ ეს ეჭვები, დამამშვიდეთ უბედური.
 ჩემო შვილო! გეხვეწები, გონზე მოდი, გამიგონე.
 ა რ ზ ა მ.

სინანული რას გიშველის? ვაი, იმას არ აქვს ღონე,
 დეე დარჩეს საიდუმლო სიბნელითა შემოსილი,
 მაგრამ განა დაივიწყებთ: კიდევ გყავდათ ერთი შვილი,
 ფ ა რ ს მ ა ნ.

ნუ გადამრევ! ეს მეტია! ჩემო შვილო, ამიხსენი.
 გულსა მხედება და გონებას ლახვარივით სიტყვა შენი.
 მაგრამ ნუთუ, ჰე ღმერთებო! რომ შემშალოთ ჭკუიდანა,
 უნდა ბედკრულს დამანახოთ კვლავ სურათი ამისთანა?

ს ც ე ნ ა VI.

ფარსმან, რადამისტ, რომელიც ხელით შემოჰყავთ
 ჯარის კაცებს: ზენობე, არზამ, პიერონ,
 მიტრან, პიდასპ, ფენის.
 დარაჯები.

ფარსმან.

უბედურო! აქ რა გინდა? რისთვისა ხარ აქ მოსული?
 აქ რას ეძებ?

რადამისტ.

აქ მოვედი, რომ დავლიო თქვენ წინ სული.

ფარსმან.

რა ძრწოლაა ჩემსა გულში!

რადამისტ.

თუმცა ვკვდები. უბედური,
 შიში ნუ გაქვთ გაგაგონოთ უსამართლო საყვედური.
 თქვენმა ხელმა მე დამსაჯა, ცოდვა ჩემი შევისყიდე.
 ნეტავი რომ ღმერთებიცა შევაჯერო ამით კიდე.
 მე სიცოცხლის არ ვარ ღირსი, ის მივიღე, რაც მხვდებოდა.
 ოჰ, ზენობე! ნუ სტირ, ჩემო! ნუ სტირ... განა შემრჩებოდა
 სისხლი... სისხლი მიტრიდატის?

ფარსმან.

ეს რა ესმის ჩემსა ყურსა?

მიტრიდატის?! მაშ რა სისხლი დამიდგრია უბედურსა?!
 საცოდავო ჩემო თავო! როცა აგრე მიდუღს გრძნობა,
 ვინ იქნება, თუ არ შეილი, რა ძნელია გამოცნობა?
 რა დამატყდა, რა შავბედი, რა მკვლელობა ჩავიდინე?
 ახ, მომკალით მეცა ბარემ, როგორც მე ის მოვაკვდინე.
 რადამისტ.

ამ წყურვილმა ჩემი სისხლის, რაც თქვენ გერგოთ ბნელი ხვე-
 დრად,
 მიკვირს მეფე, ამ წამამდე ამას რომ ვერ მიგახვედრათ.
 როცა მე თქვენ შემეტაკეთ სიმწარითა იმისთანით,
 მე მეგონა—შვილი თქვენი უბედური რომ იცანით.

ფ ა რ ს მ ა ნ .

ვაი ჩემ დღეს! მერე რატომ, შვილო, რატომ არ მითხარი?
 რ ა დ ა მ ის ტ .

თქვენ იყავით მრისხანე და მუდამ ისე საშიშარი,
 რომ თქვენს შვილებს, საცოდავებს, მოუკალით თქვენვე გული:
 არ ჰყოლიათ იმათ მამა, არ უგრძენიათ სიყვარული.

როცა თქვენ მეცით მრისხანეთ, თვითონ ხელ-აღუპრობელი,
 მე ვერ მოგისპეთ სიცოცხლე, ჩემი სიცოცხლის მშობელი:
 ამ წამს საშინელს უეცრად ამიხმაურდა ბუნება,

მკლავი მოდუნდა, ვერ შევძელ ხელისა შემობრუნება.

ბოლოს, თუმცა ვეთხოვები ჩემს ძვირფასსა ზენობესა,
 მამა ჩემი მაინც ვნახე, სიკვდილის წინ მატკობს ესა.

ვხედავ, ცრემლი დაგედინათ, სიბრალულის საგნად ვხდები.
 (აწნამს)

ძმაო ჩემო! მოდი ჩემთან, მომეხვეი... ძმაო, ვკვდები.

ზ ე ნ ო ბ ე .

თუ შენს სამართალს, ეპ ცაო! არ აქვს უსისხლოდ მსვლელობა,
 სულ დაგევიწყნა არ სჯობდა? მითრიდატისა მკვლელობა...

(გადის)

ფ ა რ ს მ ა ნ .

ვაი შვილო!.. ჰაი რომო! გაიხარე, დასტკბი განა?!

(აწნამს)

შენა რომის წინააღმდეგ ჩემთანა ხარ ამდღიდანა.

გასწი! ტახტი სომხეთისა დაიჭირე, დაიპყარი,

ზენობესა მე შენ გითმობ, ჩემი ნდობაც მასთან არი.

ვალად მადევს შვილის ხსოვნას მივსცე მე ეს შესაწირი.

გასწით! ესლავ მიატოვეთ ივერიის განაპირი.

უნდა სისხლი დაგიწყნარო, მოვუპოვო გულს სიმშვიდე.

გასწით ჩქარა! აქ ნუ დგეხართ... არ დაეღვარო სისხლი კიდე.

ნ ო ლ ო .

F 105.494
3 E

ფაბი 5 ფრანკი.

.....